


# ივერია

№ 24, 1990 წლის I ივლისი

„მარად და ვეკლავ, საქართველო, მე ვარ შენთან, მე ვარ შენი თანამოქალაქი უკვლავ სული“



გაზეთი "ივერია" დააარსა ილია ჭავჭავაძემ. აღდგინა ზურაბ ჭავჭავაძემ. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1989 წლის 20 თებერვალს.

## წინამდებარე ნომერში გთავაზობთ:

- სტუდენტთა ამასწინანდელი შიმშილობისა და უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკური ფარსის გათამაშებას, ლაპარაკია სარედაქციო წერილში „უკან დაწეული დრო“.
- ერთაშორის ურთიერთობის საკითხს საჭიროა მივუდგეთ უაღრესი პასუხისმგებლობით, პრინციპულად, სამართლიანად... ამ თვალსაზრისით გასული წლის ბოლოსა და მიმდინარე წლის დასაწყისში შიდა ქართლში მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი ზოგიერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ. ამის შესახებ „საქართველოს მხედრიონის“ მემორანდუმს წაიკითხავთ მე-2-3 გვ-ზე.
- რა მოხდა ა.წ. 18 ივნისს საქართველოს პროფსაბჭოს შენობასთან, მერაბ კოსტავას ფონდის საქმიანობის განხილვისას?.. ამის შესახებ წაიკითხავთ მე-4 გვერდზე.
- ჩვენი გაზეთის ბოლო ორმა ნომერმა მისი პოპულარობა დიდად გაზარდა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი მანდილოსნის სატელეფონო თავდასხმებიც გამოიწვია... ამის შესახებ იხ. წერილი „სიმართლე მწარე წამალია“. გვ.4.

- წელიწადზე მეტია გრძელდება უსაშველო კონფლიქტი მწერალთა კავშირის სამდივნოსა და მთარგმნელობით კოლეგიას შორის... ამის შესახებ იხ. წერილი „ასეც ხდება“. გვ. 4.
- ზურაბ ჭავჭავაძის არქივიდან ვაქცევნებთ მის ღია წერილს ანდრეი სახაროვისადმი. წერილი ეძღვნება საქართველოს ეთნიკურ პრობლემებს... იხ. გვ.5-6.
- ა.წ. I ივნისს ყვარლის რაიონის სოფ.ახალსოფელში შედგინდა ახალი კავშირის მიერ ჩატარებული მიტინგმა უაღრესად გაამწვავა ეთნიკური კრიზისი ქართველებსა და ლეკებს შორის... ამის შესახებ იხ. საკოორდინაციო ცენტრის განცხადება (რომელიც არ დაბეჭდა გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“). ამავე საკითხს ეძღვნება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილების განცხადება. გვ.7-8.

წაიკითხავთ აგრეთვე სხვა საინტერესო მასალებს.

## შენ წინაშეა დგომ

როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში ა.წ. 26 მაისს ვაკის სტადიონზე დადებული სპექტაკლის შემდეგ? ფაქტია, რომ ამ ხანებში მნიშვნელოვნად შენედა „ლიბერტიზმი“ ანუ თურქ-ოსმალ-მესხთა „მრავალღიანი ლიონიანი ლაშქრის“ შემოჭრის შიშით გაღვივებული ფსიქოზი. როგორც გახსოვთ უკვე დასახელებული იყო მათ მიერ თბილისის ოკუპაციის დღე-3 ივნისი. განა მაშინ არ დაეწყო ისედაც ნერვულად დაწყებული ხალხს კოლექტიური პალუცინაციები? - მრავალმა მიტინგებზე შეაგონებულმა ხომ ჩაღმიანი თურქ-ოსმალები საკუთარ მოწყობელ ბინებში შემოჭრის და ნახევრადარბილ მაცვივრებთან ჩასაფრებულებიც კი წარმოიღვინა. ვინ მოსახოვდა პასუხი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „პატრიარქს“ ასეთი პატრიარქალური დებინგორმაციისთვის? - ცხადია, არავინ! რამდენი ეთნოკრიზისების დილსტატები მხოლოდ ასეთ მღვრიე წყალში გრძნობენ თავს ღაღად, მაისის ბოლოს წინა პლანზე სრულიად სხვა საკითხებმა გადმოინაცვლეს.

როგორც ცნობილია, საკოორდინაციო ცენტრმა დაიწყო გააშვილა ე.წ. „მრავალმაგილის კონცეფცია“, რომელიც ასე შეხმატბილებული იყო ოფიციალური ხელისუფლების ზრახვებთან, ეს ერთიანობა ივნისის პირველ ნახევარში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა. სხვათა შორის, ქართველობა პოლიტიკური ცხოვრების დიდი ტრადიციების გამო, ადრე, თუ გვიან, მაინც შეუცდომლად არჩევს ხოლმე სიმარადეს-სიცრუისაგან. ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იციან ჯერ კიდევ ფანტასტიკური შესაძლებლობების მქონე სპეცსამსახურებმა და ამიტომ მუდამ ცდილობენ, რომ მაქსიმალურად დაამსგავსონ სიყალბე-სინამდვილეს. ამ საქმეში მათი საყრდენია ანობა-ღიურ სოციალური გარემო, რაც ფსიქოზებისა და ეთნოკრიზისების გაჩაღების საშუალებას იძლევა.

26 მაისს გაგრასა და ცხინვალში არაქართველი ნაპირდება წინ აღუდგა ქართული სახელმწიფოებრიობის ადღენის ზეიმის, ინსპირირებულ იქნა მოსალოდნელი ეთნოკონფლიქტები, ასეთი უსამართლო გამოსვლები რომ მუდამ ქართული ეროვნული ტა-

ლის აზვირებდას იწვევს, ესეც შესანიშნავად იციან მისმა მომწყობებმა. მართლაც, აღნიშნული ინციდენტები თითქოს ნიშანი გახდა 31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთი ახალგაზრდის ძიერ გამოცხადებული უკვალ შიმშილობისა.

სტუდენტთა მოთხოვნებს თავიდანვე აკლდა სიმკვეთრე და გარეშეთა ჩარევის შედეგად ხშირად იცვლებოდა იგი, რაც უამრავ გაუბებრობას ბადებდა. განა შეიძლებოდა დაგვეშვა ახალგაზრდობის სიკვდილი გაურკვეველობისათვის? სწორედ ამან შეაშფოთა საკოორდინაციო ცენტრში შემავალი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. ეცვი ჩნდებოდა, რომ ახალგაზრდები რაღაც ახალი პოლიტიკური ავანტურის მსხვერპლნი ხდებოდნენ. წინასწარ შემუშავებული გეგმის მთელი ცბიერება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ქართველი კაცის ბუნებრივ სიკეთეზე და თავისუფლებისაკენ მის ღებულებზე იყო აგებული - განა მოშიშმიღე სტუდენტები, ჩვენი შვილები, ქართველი ერის წინაშე მდგარი უმწვავესი პრობლემების მოგვარებას არ სწირავდნენ თავს? როდესაც „მრავალი მაგილის“ ბინადარნი ერთობ ანლოს აღმოჩნდნენ მოშიშმიღეთა აქციასთან და უნივერსიტეტის მიდამოებში სირბილს მოუხშირეს, მაშინ ჩვენთვის ბევრი რამ კიდევ უფრო გაცხადდა. მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად საკოორდინაციო ცენტრი მუდმივ დიალოგებს მართავდა - მოშიშმიღეებთან, თუ კოლექტივთან, სხვა ორგანიზაციებთან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩვენი გამოსვლები იქითკენ წარგმართდა, რომ ხელისუფალთა რეალური ჩანაფიქრი გამოგვეშვარავებინა. მართალია ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ ყოველივე ეს მაშინ გულგრილობაში ჩამოგვარდა, მაგრამ სიმარადისათვის ყველაფრის ატანა შეიძლება.

ივნისის პირველ რიცხვებში ხელისუფალთა უმთავრესი მიზანი თითქოს მიღწეული იყო, შიმშილობა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოექცა. ბოლშევიკური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართო რეკლამას (დასასრული მე-8 გვერდზე)



4 ივლისი ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეა!

„ჩვენ თავისთავად ცხად გეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია და შემოქმედისაგან მინიჭებული აქვს თანდაყოლილი და წელსეუვალი უფლებები, რომელთა შორისაა უცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა.“

ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია

# «საქართველოს მხედრონის» მემორანდუმი

( უიდა ქართული მოახლარ მარკოპოპოთა მამო )

ჩვენ ამ მემორანდუმის გავრცელება გვსურდა 1990 წლის თებერვალში, მაგრამ რიგი მიზეზების გამო თავი შევიკავეთ. უფრო ერთი, ქვემოთ აღწერილი ზოგიერთი ე.წ. "კრიზის-ნალური მომენტი" რომ არ გამოყენებულიყო დემოკრატიული განზოგადების საბაბად. ზოგიერთი კერძო პირის ქმედებები ნებისა თუ უნებლიედ არ გაიგივებულიყო მთლიანად ეროვნულ მოძრაობასთან; მეორე, ამას ფართო აუდიტორია მიიღებდა, როგორც მოვლენების სუბიექტურ შეფასებას; მესამე, იმიედი ვეჭვონდა, რომ ქვემოთ აღნიშნული პირები შეიგნებდნენ თავიანთი მოქმედების მცდარობას და ეროვნული მოძრაობა განთავისუფლებოდა ზედმეტი განხედებებისა და დაპირისპირებულობისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ჩვენი ლემილი მიჩნეულ იქნა პოზიციის უქონლობად და გამოიყენეს ჭორებისა და ცილისწამების გასაგრეცელებლად. ახლა კი, როდესაც ეროვნული მოძრაობის წამყვანი ძალებისა და ფართო საზოგადოების აზრი მომწიფდა, მოვლენების ანალიზი დაემთხვა ჩვენს პოზიციას, კონსპირაციულ მომენტებს ყავლი გაუვიდა.

ჩვენ მიგვაჩინა, რომ ა.წ. 10 მაისს გაზეთ "მბილისში" გამოქვეყნებული ეროვნული ფორუმის საგანგებო კომისიის დადგენილება ამ საკითხთან დაკავშირებით, თავისი მართებულო დასკვნით, მაგრამ არაკონკრეტული ვერ გააქარვებს ჭორებსა და ცილისწამებებს, რასაც ავრცელებდა ვ. ადამიამ და მისი გარემოცვა.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც უკეთილშობილესი მიზნები და მისწრაფებები ამოძრავებს, არც ერთ რგოლში, რაც არ უნდა უზნივენელ იყოს იგი, არ უნდა შეიცავდეს დანაშაულს, ამიტომ დასამალო არავფერი არ არის და ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

როგორც ცნობილია, "საქართველოს მხედრონი" არ არის პარტია, არც სხვა რამ პოლიტიკური ორგანიზაცია თავისი საკუთარი პროგრამით ან პრეტენზიებით. იგი მოხალისე პატრონობა პარტიზანული ტიპის შენაერთთა ერთობლიობაა, რომელც მხოლოდ მაშინ იწყებს ფუნქციონირებას, როცა ქართველი ადამიანის ეროვნული და სამართლებრივი უფლება ხელყოფას განიცდის და თანდათან საჭიროებს, ასე იყო ეს ქვემოთ ქართლის კრების დროს, აფხაზეთში პირველად და მეორე შემთხვევაში, ასევე მოხდა შიდა ქართლშიც.

ისიც დასამალო არ არის, რომ "საქართველოს მხედრონი" არ ცნობს არავითარ პარტიას კომუნისტურიდან დაწყებული მონარქისტულამდე, როგორც ერთდღერ თვითიკალიზ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს უფლება სრულიად საქართველოს სახელით იმოქმედოს.

როცა შეიქმნა "ეროვნული ხსნის კომიტეტი", სადაც თითქოსდა უნდა გაერთიანებულიყო ეროვნული მოძრაობის ყველა მიმდინარეობა, "საქართველოს მხედრონი" უარი თქვა გაწევრიანებულიყო ამ კომიტეტში და თავის წარმომადგენლებს, რომლებიც ხანგამომავებით ესწრებოდნენ კრებებს, მხოლოდ მეთვალყურის როლი შემოეფარა. მხედრონი მიანდა, რომ აზრა - "ეროვნული ხსნის კომიტეტი" - არ შეესაბამებოდა ნამდვილ ვითარებას და პრეტენზიულად ღერდა. პირველივე საქმიანი კონტაქტი, პირველივე გადაწყვეტილება, რომელიც ამ კომიტეტმა მიიღო "საქართველოს მხედრონის" აფხაზეთის აქციასთან დაკავშირებით, უპირობა გამოვდა. შეთანხმება, რომ "საქართველოს მხედრონი" გაემგზავრება აფხაზეთში და წინადადება სეპარატისტების განზრახვებს, თავის მხრივ კი "მთავარი კომიტეტი" გაუიყვება და მიტინგებს მოაწყობდა მბილისსა და მთელ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ რუსის ჯარის აფხაზეთიდან გაყვანის მოთხოვნით, არ შესრულდა. მხედრონი გაემგზავრა, მთავარი კომიტეტი კი იმით დაკმაყოფილდა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცუ პირველი მდივნის გ. ზუმბარძის სიტყვიერი თანხმობა მიიღო სულ სხვა საკითხზე - რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე.

"ერთხელ ბრძენი შეცდებამ", არის ნათქვამი და მხედრონიმა კვლავ მხარი დაუჭირა "მთავარი კომიტეტის" აქციას, რომელც თავადაც მიზანშეწონილად მიანდა. საქმე ეხება 23 ნოემბრის ქ. ცხინვალის მისაღობებთან ჩატარებულ დემონსტრაციას (აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გაემიჯნა ამ გადაწყვეტილებას; არ სურდა მიტინგი ასევე დემოკრატიულ პარტიას). თავდაპირველად მიტინგის ჩატარება ცხინვალის სადაბურის დიდ მოედანზე იყო განსაზღვრული. მიტინგი იქნებოდა მშვიდობიანი, სადაც გამოვიდოდნენ როგორც ქართველი, ასევე ოსი მოქალაქეები და აქტივისტები. უნდა შემდგარიყო ღიალი, არჩეულიყო დელეგატები, გაერკვირათ პოზიციები და დაერწმუნებინათ შიდა ქართლის მოსახლეობა, რომ ქართველი ხალხი არავის მისცემს უფლებას გამოიყენოს მომენტი მთლიანი საქართველოს დასაქუყმაცებლად, ან მისი მიწების მისაბატონებლად. საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ამ დემონსტრაციის უშიშროების უზრუნველყოფაზე. "საქართველოს მხედრონი" კი საკითხის წინასწარი შესწავლისა და სათანადო მოზადების შემდეგ იცისრა ეს მისია და თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. დემონსტრაციის წინა დღეს გაიკრვა, რომ "მთავარი კომიტეტის" ლიდერებმა ცუ-ს მდივან გ. ზუმბარძისთან, ასე ვთქვათ, უნებლურად შეთანხმება მოახდინეს, რომ მიტინგი გაიმართებოდა ცხინვალის მისაღობებთან. ასეთ ვითარებაში მხედრონი უფუნქციოდ რჩებოდა, მაგრამ, ყველი შემთხვევისათვის, მას მაინც სახოვეს, დემონსტრაციისათვის ებადრაგა. ამას მხარს უჭერდა "სახალხო ფრონტი" და ნაწილობრივ "რუსთაველის საზოგადოების" გამოცემა. ე.ი. "საქართველოს მხედრონი" თითქმის მთელი ქართველი ხალხის სახელით შეემლო მოქმედება.

საუბედროოდ, მთავრობა და დემონსტრაციის ორგანიზატორები არ გამოდგნენ უნებლური-ნებით. დაწინაურდ აღვიდას კორლონი მოიხსნა, რამაც გამოიწვია ის, რომ დემონსტრანტები ცხინვალს მეთუხლოდნენ, მაგრამ ზედ ქალაქის შესასვლელთან მოიხსნა "ბეტერია" და ჯარისკაცებით გატყინლი ავტობუსებით გზა ჩაიხერგა და ვიღერ ვითარება პარკვივდა, უკვე ცხინვალისად კორლონს ოსი მოსახლეობა მოადგა. შეიქმნა წინააღმდეგობის, გაწევ-გამოწვევის, მთავრობასთან შელაპარაკების, ურთიერგადამრალბის ანარქიული სიტუაცია. ამასობაში დადამდა და მთელი დამე საბჭოთა ჯარისკაცების პიკეტით გაყოფილი ორივე მხრიდან მტრობაში გადაზრდილი ღრიანციელი გაისმობდა. ასეთ ვითარებაში მიტინგზე დაპარაკიც ზედმეტი იყო. გამოსავალი მხოლოდ დელეგატების არჩევამი და მთა ღიალიგშია მოჩანდა. მეორე დღეს, როგორც ოსთა, ასევე ქართველთა შიდა შეთანხმებლობის გამო, არც ეს მოხერხდა. სამიტინგოდ ჩამოსული, უძილო, დამენათვი ხალხი გაღიზიანებული დაიშალა. ეს იყო დემონსტრაციის ორგანიზატორების გაწიბლების ვაქტი, სადაც არც "საქართველოს მხედრონი" უქონდა თავმოსაწონებელი მღვთმართობა. ამას დაემატა ცხინვალის ქართული მოსახლეობის ჩივილი. მათი სიტყვებით, მათ აღარ მიესვლებოდათ შინ. მოიტანეს ამბავი რომ ცხინვალის გარეუბან თამარაშენში უკვე დაიწყეს ქართველების დარბევა.

"საქართველოს მხედრონი" უმად ქართველი მოსახლეობის დასაცავად გაემართა და ზურგიდან გადაწყვიტა ჩასულიყო თამარაშენში, აყევანა მთელი ღიახვის ხეობა თავისი კონტროლის ქვეშ, ჩადეცა ჯავისა და ჩრდილო ოსეთის გვირაბიდან მომავალი გზა. მართლაც, იმავე საღამოს ყველაფერი ეს განხორციელდა. ღამის 9-10 საათზე თამარაშენში სრულად სრულიად შემოიჭრა მანქანების კოლონა. წინ მოუძლდა ბეტონმარვის სატვირთო მანქანა, შემდეგ უნომრო "ნივა" და ორი ავტობუსი, საიდანაც აგრეთვე ისროდნენ. კოლონამ დიდი სიჩქარით გაიარა არაბეთი, სადაც მსუბუქად თავი დაიჭრა 16 წლის გავში. აქვე დაიჭრა მხედრონის წევრი გიგა არველიძე და სოფ. ქურთაში კიდეც ერთი ყმაწვილი. სოფ. ქურთაში მანქანა "კრაზო" კოლონას დაედევნენ ჯაბა იოსელიანი, თენგიზ მანაგაძე, თემურ

ფოცხვერია, ზაზა რეხვიავილი. სოფელ კეხეთან გზა გადაღობილი ჩანდა და ვიწრო გასასვლელი იყო დატოვებული. ბეტონმარვისა და "ნივამ" გასვლა მოსაწერს, მაგრამ ავტობუსები წამით შეყოვნდნენ, ვლარ გადავიეს. დადევნებული "კრაზიდან" გამომხტა მხედრონის ხალხი, იქვე გამოჩნდა ავთანდილ ვეღიძეც, მოგვიანებოთ კეხვის მოსახლე სოსო, შემდეგ ავთანდილ ჯღარკავა, რომელიც ამ კოლონას "ნივით" მოსდევდა თამარაშენიდან. ავტობუსებმა დატყვევებული აღმოჩნდა. დაკავებული ოსები (მნ კაცი) ცხინვალში "ღამზმარე ძალად" ჩამოსულნი, ახლა ჯავაში. თავისი უკუთ, გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ. მადე სოფლის მოსახლეობაც გამოვიგინა. ავტობუსებიდან ამოღებულ იქნა იარაღი, - ერთი კარაბინის ტიპის და რამდენიმე სანადირო თოფი, ერთი პისტოლეტი "მაკაროვი", ასაფეთქებელი თვინა კეთი ბოთლები და ოცზე მეტი ცივი იარაღი. მეორე დღეს თამარაშენში დააკავეს მილიციის ფორმაში გამოწყობილი დივერსიული ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელსაც, გარდა ბოთლებისა, უქონდა ასაფეთქებელი ნივთიერებაც, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. კეხვის სკოლაში, სადაც ტყვეები იყვნენ, მოდიოდნენ მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს მილიციის მუშაკები. ოსები საშუამავლდ გვიგზავნიდნენ ოსი საზოგადოებისათვის ცნობილ პირთვებებს, ნაცნობებს. სწორედ ის აქტივისტები, რომლებიც ცხინვალში მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად არ გვიშვებდნენ, ნაწილი კეხვის სკოლაში იყვნენ ტყვედ, ნაწილიც გვეხვეწებოდა, ყველა ჩვენი მოთხოვნის შესრულებას გვიპრდებოდნენ. ჩვენი მოთხოვნა კი უბრალო იყო: დაეგმოთ ანტიბალური "ადამონ ნიხასის" ფსევდოპარტიოტული ორგანიზაცია, ყველა ანტიქართული კერა ჩაქრობილი და გაუქმებული ყოფილიყო, ცხინვალში ქართულ მოსახლეობას არავფერი დაშვებოდა და მოხსნილი ყოფილიყო ყველა პიკეტი. ჩვენ ომს არ ვაპირებდით, ეს დაკავებული ხალხი არ იყვნენ მივლები, ისინი იყვნენ ბოროტმოქმედნი, მათ ეს თავისი პირით აღიარეს. დაკითხვები შეგებულად მივანდეთ მბილისის, მოსკოვისა და ოქტის მილიციის მუშაკებს. ოსი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ გამოძიებას, ჩვენ ტყვეებთან შევივით "მოსკოვისკი ნოვოსტის" კორესპონდენტიც, რათა მერე არ ეთქვათ, რომ ჩვენ გამოვძალდ ჩვენებები (ნაწილი ჩვენებებისა და სათანადო შტიცება ინახება მხედრონის არქივში).

მხედრონი დარწმუნდა თუ არა, რომ ზოგიერთ დაკავებულთაგანს პირდაპირი დანაშაული არ მიუძღოდა - თვითლე კაცი გაუშვა, მათ შორის ყველა ქალი (ისინი სულ ოთხნი იყვნენ) საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტყვეების 90% ახალგაზრდები 20-35 წლისანი ჩანდნენ.

ოსების ყველა დაჯავშების თავკაცებმა და აქტივისტებმა ჩვენი უტყობათუმი მიიღეს. მხოლოდ მოთხოვდნენ დროს "ადამონ ნიხასის" დაგმობის, სეპარატისტთა განდევნისა და ოსთა შორის ურთიერთშეთანხმებისათვის. პირველ ნაბიჯად ისინი სწავლებდნენ ყოველგვარ აგრესიულ გამოხლომას, ხსნიდნენ პიკეტებს ცხინვალსა და ოსურ დასახლებებში. საქველნოდ აღიარებდნენ, რომ დამანაშაეები იყვნენ. ჩვენ დავთანხმდით და მას შემდეგ, რად ოსთა წარმომადგენლების თანდასწრებით ტყვეებმა ბოლოში მოიხადეს, ჩვენ ისინი გავუნვით. მეორე დღეს გავუშვით აგრეთვე ცალკე დაკავებული ხუთ კაციანი დივერსიული ჯგუფიც და დავიწყეთ ლოინი, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ლოკალური კონფლიქტების მოსაგვარებლად მოგხსენდა ორივე მხრივ, როგორც ოსებმა, ისე ჩვენ, პიკეტები, გარდა სოფელ ერედვისა, სადაც, ვიდრე მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, მოხდა ცნობილი ინციდენტი იმავე სოფლის მიღობის, ეროვნებით ოსურ, ინსპექტორსა და მოსახლეობას შორის, რაც დაძაბულობას იწვევდა. სხვაგან, 12 დღის განმავლობაში, არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ოსთა მხრიდან, უბრალო გასროლაც კი. ქართველი მოსახლეობა თანდათანობით გამოდიოდა პანკურთ მდგომარეობიდან. ღიახვის ხეობაში ჩვენთან ერთად იყო რამდენიმე ცვლებადი ჯგუფი "იმედისა", საგარჯოელები გედა გოლდრძიშვილის მეთაურობით, ახალციხელები და ბოლო დღებში, ყვარლისა და რუსისის მოხალისენი. იყო აგრეთვე სამი-ოთხი კაცი "წმინდა ილია მარაღის საზოგადოებიდან" და ორიოდ მარტოხელა პარტიოტი.

ვითარება სტაბილიზაციისაკენ იხრებოდა. ხლებოდა ერთი დასაფიქრებელი რამ: საბჭოთა ჯარი, რომელიც შიგადაშვიტ პარტიოტობა ცხინვალსა და სოფლებში, მაინცა და მაინც ჩვენ დაგვდევდა, იმდენად, რომ ერთხელ შევიცადენ კიდეც თავს დაგვსხმოდნენ სოფ. ქემე-რთაში. მაგრამ როცა ჩვენი სადაგომისაკენ წამოსულებს ჩვენ სათანადოდ ვუპასუხეთ, ისინიც უკან გაბრუნდნენ. ამან ჩვენ გვაფიქრებინა, რომ რაღაც ძალებს ხელს არ აძლევს სტაბილიზაცია და ჩვენს ჩათრევას ცდილობენ პრიოვიკაციაში. წინ ხომ "9 აპრილის" ბრალდების მოხსნის, მიჩუმაების ან გამართლების პერსპექტივა ინახებოდა. მაგრამ საკითხავია, თუ ეს ხელს აძლევდა იმპერიალისტურ ძალებს, რამე ჭირდებოდა ეს პელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მარაღის საზოგადოებას?

სულ მადე შევიტყვებ, რომ სოფ. მეგრეციში შეიქმნა შტიტი მშაგი სამინიაშვილის ხელომდვანელობით, რომლის დაწინაურებაშიც შედიოდა ჩვენი მომარაგება ხალხითა და სურსათით. გავიგეთ აგრეთვე, რომ "მონარქისტული პარტიის" მცირე ჯგუფი ზნაურის რაიონის რომელიღაც ქართულ სოფელში დაბანაკდა. ჩვენ წინასწარი მოლაპარაკება გვექონდა ამ ჯგუფთან უფრო კიდეც აფხაზეთში განმეორებითი ექსპედიციის დროს, კერძოდ, მათ ჩვენთან შეთანხმებით უნდა ემოქმედათ, მაგრამ, სამწუხაროდ, არც აფხაზეთში, არც ქართლში მათი ასა ველ-დასავალი არ ვიციოდა. 5-6 დღე იქნებოდა გასული, როცა ჩვენმა სოფ. ქემეტში ჩამოვიდა "წმინდა ილია მარაღის საზოგადოების" გამგებობის წევრი ვაჟა ადამია და შეგავტყობინა, რომ გორის რაიონის შტაბში მშაგი სამინიაშვილი საქმეს ვერ აუღლიდა და საჭირო იყო მისი შეცვლა. ჩვენ ვუთხარით, რომ ეს შტაბი უნდა იქნას გამოყენებული, როგორც დამზმარე პუნქტი, ამავდ დროს საგანგებოდ გავაფრთხილეთ, რომ არამც და არამც არ გამოგვიგზავნოთ ზედმეტი ხალხი და, საერთოდ, ჩვენ მიგვაჩინდა, რომ საქმე დამთავრებული იყო. ენთუზიზმი კი უნდა გამოყენებულიყო სამარქაფო ჯარის შესაქმნელად მომავალი კრიზისის შემთხვევაში. "ვაჟა, - ვუთხარით ჩვენ, - რახან შენ თვლი, რომ მშაგი თავს ვერ ართმევს საქმეს და უფრო მეტი ხანი გორშია, ვიდრე შტაბში, აი, წაიყვანე ჩვენი ორი კაცი - კოკა გეგეჭკორი და მიშა ჭაბუკიანი და ჩაუღდეკი მაგ საქმეს. მთავარია ჩაწყო ყველა, ვინც აქვე უამისოვლას ისურვებს."

"მე ამას უკვე ვაკეთებ, - თქვა ადამიამ, - თქვენი ხალხი საჭირო არ არის, მე თვითონ მოვუვლი."

გავიდა ორი კვირა. არავითარი ექსცესი, არავითარი თვდასხმა. მხოლოდ შიგადაშვიტ მოვდოდა ხმები, რომ გორის რაიონის ქართულ სოფლებსა და ცხინვალის მისაღობებთან დასახლებულ ოსი მოსახლეობის დარბევის შემთხვევები გახშირდა და მეგრეციის შტაბში ოს. მგზავრებს აკავებენ, ფულს ართმევენ და სცემენ. ჭორები იყო ეს თუ სინამდვილე, ჩვენ ამის შესახებ არავფერი ვიციოდით. ოსის გავლენიანი პირები, კერძოდ ალკ ცხოვრე-ბოვი ჩოთა, ოსები მოლადატეს მეძახიან, რადგან აგრესიული აქციისა და ანტიქართული გამოხლომების წინააღმდეგ გამოვდივართ. არავის არ უნდა დაუჯარო სიმართლედ, ნაწილობრივ დაშლილი და განქიქებულ იქნა "ადამონ ნიხასი", ჩრდილო ოსეთიდან ჩამოსულ ემისრებს უარი ეთქვათ სამხედრო თანამშრომლობაზე, მოსკოვიდან მოძალბებულ, რუსული გამოქვა რომ ვიხმართ, "სვადენი გენერალ" ცოგოლვის კონფლიქტური ვითარება შეექმნა, მის მომხრეებს ნელ-ნელა წყალი უღებოდა. პიკეტები მოიხსნა ცხინვალსა და მთელი ჯავის



ტრასაზე. მხოლოდ ერთდღეა ყოფიანობდნენ - ეზინოლად განიარაღებულ მილიციონერების შურისძიებისა. სოფლებში - ქემერში, კეხესა და ქურთაში შევეცადეთ შეგვექმნა თავდაცვის ადგილობრივი რაზმები და უფროსად შეირჩა გივი ტურაშვილი, სოფ. კეხეს ფიჭულებრი მასწავლებელი.

მოსახლეობას დავეტოვეთ იარაღი, რაც რამ შეგვეძლო, თანაც გაავრცელეთ: "პირველივე საევიკო მღვთმართობისადაც შეგვატყობინეთ, ორ საათში აქა ვართ." მოსახლეობა და მშვიდებული და კმაყოფილი გვეჩვენებოდა, იყვნენ პანიკირებული, მაგრამ მათი შიში უსაფრთხო იყო. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მთავარი ძალების გამოყვანა. დავეტოვეთ რამდენიმე კაცი სოფელ თამარაშენში - ჯგუფი "იმელიანი". ასევე შინ გავებრუნეთ ახალციხეში ჯგუფი და ყვარულა ჯგუფების დიდი ნაწილი. ვინც კი და რჩა, მათ ევალებოდათ მხოლოდ და მხოლოდ დედასთან დგომა და თანდათანობით თვითღვივობა. სოფ. ქემერში რჩებოდა თამარაშენის გველსიანი რამდენიმე კაცი "სახალხო ფრანტიდან", რომელიც სანოვაგით ამარაგებდნენ სოფლებს. ჩვენი გადაწყვეტილება შეიტყო მთავრობამაც და სხვადასხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური არხებით გვარჯობდნენ, ნაცნობებსა და მეგობრებს გვიგზავნიდნენ, ზორებს ავრცელებდნენ და "ბეტერები" დაგვივლიდნენ, შევერდამოდათ და აწი ჩვენ მოგვუვლით ყველაფერსო. ეს ცოტათი გვაფიქრებდა, მაგრამ, მართლაც, ჩვენ მილიციის ფუნქციების შესრულებას არ ვაპირებდით. ვამოძიებთ, გასამართლებთ, დასჯა ჩვენი საქმე არ იყო. ჩვენ ჩვენი მისია აღსრულებულად მივიჩინეთ, ავიყარეთ ზულა-ნაბალი. ახლა ერთი რამა რჩებოდა მოსაგვარებელი - დაგვეშალა მეგრისის ე.წ. "შტაბი", რათა რაიმე პროვოკაციას არ გადაყვალა ეს ჯერ კიდევ მყიფე სტაბილიზაცია. თბილისსაკენ ღამით ვბრუნდებოდით, გზაში "ბეტერები" იღვინენ და საბჭოთა ჯარისკაცები ავტობუსებით პატრულირებდნენ; ჩვენ პირდაპირი შეტაკების რისკით დავალწიეთ მათ თავი და ზორის გზაზე გამოვიდით. თბილისი-გორის თითქოს ყოველ უსაფრთხო ავტო-ტრასაზე ჩვენ მოვხვდით კინოტექნიკის სამყაროში. ყოველ ას მეტრზე შლაგბაუმები და მეპიკეტები, კოლონთან ფილა თოფების ტრიალი და მანქანების ჯიქური მიჭრა, ყვირილი, შრბანება, გინება. და ეს ყველაფერი ხდება მილიციასთან ერთობლივ. "მეგრისის შტაბი" შორიდანვე შევერდამოდა. იგი ისე იყო პროექტირებით გაჩაჩხაბებული, რომ პენეტრაციას შეუძლებოდა. შტაბის კარებთან მისვლამდე კიდევ ერთ პიკეტს და ალაყაფის კართან საყარაულო, დიდი სკოლის შენობაში აქედ-იქით დამრწიან მთვრალი და აღზნებული ახალგაზრდები, ზოგი შავი ბერტით თავმოწონებულნი. ჩვენი ბიჭები სიცილს ძლივს იკავებდნენ: რა ეს, ვის ეომებიან, ქართველებს თუ თავისთავს ატყუებენ და თმობანას თამაშობენო. შევერდართ სახელახლოდ, საპატრულო გადაქცეულ ქველა სარუღზე. ვეკითხებით: რაზე არიან დაკავებულნი პურის საყიდლად გამოსული 70 წლის ქალი, ორმოცზე გადაპატრული კაცი სოფელ შავშებშიდან, რომელიც თბილისთან უფრო ახლოა, ვიდრე ცხინვალთან, გზისა და ქართულ სოფლებში აკრეფილი მსხვილი ცნობილი კომუნისტურ-ჭაშისტერი შინაგანაწიებით მოქმედებდა. ე.წ. "ნასეღები" და "გნულავის" (მოლდოვის) პროცედურებით, "მოლატეების" მიხედვით და დახვრეტის იმიტაციებით. ამაზე სიტყვას აღარ გაავრცელებთ, ეს ცალკე თემაა და ზღვა ფაქტები. ადვილად მეორე სარუღზე. სკოლის დირექტორის კაბინეტში თავყრილობა, სათამაშო ადგილას ვაჟა ადამია ზის, ირგვლივ ოსებისა და ქართველების ნაერთი დედაცაა გენერალ ცოგოლოვის თაოსნობით. ვუვლით ყურს, რაზე მსჯელობთ. ოსებისა და ქართველების კონფლიქტზე. სად ხდება ეს კონფლიქტები? ჩვენ ხომ ცხინვალთან, ჯავის გზიდან, ლიხვის ხეობიდან, ფრისის გავლით მოვლივართ. იქ ხომ პიკეტები მოხსნილია და უკვე ათი დღეა ერთი თოფიც არ გავარდნილა. გვირდა გავგრცხვით, რა ხდება. ცოგოლოვისა და ადამიას საუბრიდან ვარკვევთ, რომ დაპარაკია ოს მივევლინებო, რომლებიც სხვადასხვა ქართული სოფლებიდან არიან ამოვრდნენ და შარაგზაზე: მოპიკეტების მიერ დაკავებულნი. ოს-ქართველთა დღევანდელი ცოგოლოვის მეთაურობით მიდის. ადამიასაგან ვითხოვთ განმარტებას, რა ხდება და ვინ რას აკეთებს. პასუხად ვისმინეთ უნიჭო ზღაპრებს. ჩვენთვის ყველაფერი გასაგებია. ჩვენი წინადადება: უახლოეს ორ-სამ დღეში მოხსნას ყველა პიკეტი. ჯერ ერთი, იგი არაფერი არის გამართებული - ნუთუ იარაღის გადამტანი ეტრევე წამოვა შლაგბაუმებსა და მოპიკეტებზე? მერე, რომელ იარაღზეა დაპარაკია, ან საიდან, თბილისიდან? და, რაც მთავარია, პიკეტები ხომ გორის რაიონშია და არა ცხინვალის? ახლა ეს პიკეტები პროვოკაციის კერებია, უდანაშაულო ხალხის ჩხრკვებისა, შეურაცხყოფის, კონფლიქტური გარემოს შემქმნელი და ეროვნული მოძრაობის მაკომპრომიტორები. ასეთი პრინციპით თბილისში უფრო უპირანია პიკეტების მოწყობა.

ამასობაში მოდიან: ზვიად გამსახურდია, ნოდარ ნათაძე, ავთო რეხილაძე, ერეკლე საღლიანი, დათო გაღრანი და სხვა.

ვ. ადამია და ზ. გამსახურდია ერთ პოზიციაზე არიან: პიკეტები არ უნდა მოხსნას, ცხინვალს სასურსათო ბლკად უნდა მოვუწყოთ. ჩვენ ვპასუხობთ, რომ სასურსათო ბლკა და გენოციდის ერთ-ერთი სახეობაა, შევერდ კი პეღისიკის კავშირის დამფუძნებელი ხარე, რომლის მთავარი ფუნქცია ადამიანის უფლებების დაცვა უნდა იყოს. გარდა ამისა, ცხინვალში მყოფი ათი ათას ქართველი რას უპირებთ? მათი მტკიცებების აქ მოტანას შეგნებულად ვარიდებთ თავს. მათი პოზიცია ჩვენთვის მიუღებელია. ყველა ჩვენს მოთხოვნაზე ოსების თავდაცვით მთელი მთელი დანხმობა. ჩვენ ვთვლით, ვიდრე მსხვერპლი არ არის, ნუ გავაღრმავებთ კონფლიქტს. დავაცალოთ, თუ არ შეასრულებენ დანაპირებს, მაშინ სხვა რაღაც კაცური ვიღონთ და არა ეს ნაცარქექიული ჩხრკვები; ახლა საჭიროა ხალხის დამშვიდება და არა აღზნება ორივე მხრიდან. კონტროლის ქვეშ ავიყვანოთ ცხინვალში პოლიტიკური ვითარება, ამოვუყენოთ ოსთა პროგრესული ნაწილი ეროვნულ მოძრაობას გვიხდები. მაგრამ თვითმარტვია შტაბი ისეა დაავისივე აღზნებით როში შეჭრილი და მოჩვენებებით შემინებული, რომ ამაზე არ გვეთანხმება, მით უმეტეს, რომ მათ შარს უჭერს ზვიად გამსახურდია. დანარჩენები ხმას არ იღებენ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ პასუხისმგებლობას ვინსნით, რის შემდეგ თბილისში ვბრუნდებით.

მთელი ერთი დღის განმავლობაში ყოველ ოთხ-ხუთ დღეში მხედრობის რამდენიმე ეკიპირებული წარმომადგენელი სათვალურით მოგზაურობას აწყობდა: ცხინვალსა, "შტაბსა" და ქართულ სოფლებში. ჩვენს მეთვალურებს მოჰქონდათ ამბები წუნწაობისა და მარადილობისა ორივე მხრიდან. ფაქტობრივად, ხელფურად იქმნებოდა დაძაბულობა. თბილისში ჯორი ჯორზე ვრცელდებოდა, ვითომ ჩრდილო ოსეთიდან დიდ პარტიზნულ შემოსილს უკანასკნელი ტექნიკის იარაღი, ქართველებს პა და, პა, უნდა დაესხან თავს. თუ მხედრობის იქ ყოფნის დროს ჩვენ საბჭოთა ჯარი და "ბეტერები" დაგვდედა და მთავრობა გვაწვებოდა, გინდა თუ არა ვამოდიოთ, ახლა მთავრობაც, ჯარიც, მილიციაც და "მეგრისის შტაბიც" ვ. ადამიას ხელმძღვანელობით შეხმატვილებული ჩანდა. ეტყობა, აწყობდათ ასეთი ვითარება. იქნებოდა შაბეჭდილება, რომ ეს დაძაბულობა მოულოდნელი სერიოზული კონფლიქტის მომასწავლებელი იყო. მაგრამ თუ ეს ადვილად ესადაგებოდა მოსკოვის იმპერიალისტური იდეის გამტარებელ მთავრობას, რატომ უნდა აწყობდეს იგი "წმინდა ილია მართლის საზოგადოების" სახელით მოქმედ შტაბს?

ვიდრე ეს "წუნწაობა" მიმდინარეობდა, ჩვენ მხოლოდ მეთვალურის როლი დავგმავდიდით. მაგრამ მოხდა ის, რაც ასეთ უპასუხისმგებლო ვითარებაში გარდაუვალია: თამარაშენელი 17 წლის ვეფხია-ერთი მსხვერპლი; იქვე დღით ისი და მამით ქართველი ჩვილი ბავშვის მკვლელობა, თბილისში ჩამოტანილი აკვანი და ხალხის მრისხანების და შურისგების განზრახვებზე თამაში. მოვლენების განვითარებაში ჩაურევლობა უკვე აღარ შეიძლება და ჩვენ კვლავ მივაშურეთ ცხინვალს, თამარაშენს, ზემო და ქვემო არაბებს, ქურთას, კეხეს, ქემერს, ხეოს, ფრისს, ერედეს. აქ ჩვენ ისეთივე ფსიქოზური ვითარება დაგვხვდა, როგორც "მეგრისის შტაბში". კვლავ აღგვნილი პქონდათ წიკეტები ყოველ სოფელში; "ქემერის შტაბში" ისევ სიკვდილის პირამდე მიყვანილი ხანშიშესული ოსი, ისევ ის სტეროტიპული პასუხი, რომ იგი ყინულიან მდინარეში იმიტომ აბანავს და სასიკვდილოდ დადეს, რომ ისრაფა. კი მაგრამ, სად არის თოფი ან სხვა რამ იარაღი? - მთაზე ააგლო! - იყო პასუხი. დაახლოებით ისევ ხალხური ამირანის დონის ზღაპარი.

ამ სოფლებში ჩვენ დაგვხვდა "წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა" და "სახალხო ფრანტის" სახელით მოქმედი რამდენიმე ჯგუფი, ასევე რამდენიმე მარტოხელა პარტიზნი. "საქართველოს მხედრობა" მათ განუცხადა: პარტია რამდენიც გინდათ, ჯარი კი - ერთი ვინც ამას არ დაემორჩილება, უნდა დასტყვოს ეს მხარე. ფორმალურად ყველა დათანხმდა, მიიღო ეს პირობა. ზოგმა დატყდა იქაურობა, ზოგიც დარჩა. ვინც ამ არეულობით ხელს ითმობდა, მათ წესრიგისაკენ მოწოდება არ ეტაშნიკათ.

მხედრობა უმაღლეს დონეზე იყვნენ ცხინვალთან ქემერთან, მოძრავი პატრულირებით და ჩასაფრებული განლაგებით აიღო კონტროლი. სოფ. ერედის მოსახლეობა კვლავ ეწინააღმდეგებოდა პიკეტის მოხსნის განკარგულებას. მიზეზად იმას იღებდნენ, რომ ცხინვალში პროლეტებს არ შეეღწია. მხედრობის შედეგად დაერწმუნებოდა სოფლის აქტიური ნაწილი, რომ მარტო ერთი სოფლის ავალსაზრისით არ შეიძლება მთელი საქართველოს ბელი გადაწყვიტოს. თუ იმასაც არ მივიღებთ მხედრობაში, რომ სურსათის ბლკად გენოციდის ფორმაა, მაშინ იმას გაუწიეთ ანგარიში, რომ ცხინვალში გარდა ოსებისა, ათი ათასი ქართველიც ცხოვრობს, - ვორწმუნებოდით ჩვენ. "ქართველები ვამოვიდნენ ცხინვალთან!" იყოლიებდა ხალხს ადამიას მიერ გზაბნეული თით-ორილა "წმინდა ილია მართლის საზოგადოების" წევრი. კი მაგრამ, სად უნდა წასულიყვნენ ის ათი ათასი ქართველი, ან ცხინვალს ვის უტოვებდნენ, ეს გაურკვეველი რჩებოდა. მხედრობა დაიბარა ის ოსი ლიდერები, რომლებთანაც სიტყვიერი შეთანხმება პქონდა პირველი ჩასვლისას. ეს იყო ალც ცხოვრებით შედეგ ისევ აღდა პიკეტები. ჩვენც იძულებული ვავხდით კონტროლი მიგველო. ისინი იფიქრობდნენ, რომ ჩველი ბავშვის სიკვდილად არაფერი არა კავშირი არა აქვთ, რომ თამარაშენელი ვეფხიას მოკვლა ხელმართულ ბრძოლაში მოხდა; დააბრუნეს იარაღი, რაც ქართველებისაგან პქონდათ წარმოშული; ჩხინვალთან გააქციეს გენერალი ცოგოლოვი და ანტიკომუნური ცალკეული სეპარატისტების ლიდერთა განქიქვაც შეძლეს. რაც შევერდ იყავით, ერთი თოფიც არ გაგვისვრია და ახლოც ასე იქნება. მართლაც, ჩვენი მეორედ ჩასვლის ცხრა დღის განმავლობაში არც ურთი მწიშველოვანი ინციდენტი არ ყოფილა. ჩვენი ფუნქცია ანუ წურული ჩანდა და მანვე გადაწყვიტეთ, მოსახლეობისაგან გაგვეგო, რას აპირებდნენ, მომავლისათვის რითი შეგვეძლო მათი დახმარება.

ამიტომ სოფლებში ჩავატარეთ შეტრეებები და ვთხოვეთ ხალხს, აერჩიათ სოფლის რამდენიმე თავდაცი და მთელი ღიახვის ხეობის, შიდა ქართლის სახელით გადაეწყვიტათ, თუ რა სურდათ. ზოგიერთ სოფელში ეს შესაძლებელი გახდა (სოფ. ქურთაში, ქვემო არაბებსა, ნაწილობრივ ქემერთან და ერედში). სოფ. კეხეში იგივე ჩამოსული პროვოკატორები, რომლებიც ჩვენი იქ ყოფნით შევიწროებულნი აღმოჩნდნენ, ჩვენი სახელის გატეხვას შეეცადნენ: ჩვენ თურმე მთავრობის ხალხი ვიყავით, სტაბილიზაცია და ოსებთან შერიგება გვსურდა. ჯერ ერთი, ამით ჩანს, რომ მათ უკეთესი წარმოდგენა პქონიათ საქართველოს ამჟამინდელ მთავრობაზე, ვიდრე ჩვენ. მეორეც, თუკი ჩვენ მთავრობის ხალხი ვიყავით, მაშინ რით უნდა აიხსნას ის ამაყი, რომ ჩვენ შობა ღამეს, ბეღობის დღეს, ახალ წელწილს მივატყვეოთ ოჯახები და საყვარელი საქმე, გიგა არვლეამდე - საკუთარი ქორწილიც კი, ტყვიას მიგუშვირეთ შუბლი, ცვიც და მთველ სოფლებში, მთა-ღრეში დავბანაკდით, უკანასკნელი სამ-სამი მანეთით შეგროვილი ფულით ვყიდულობდით საზიზარ კონსერვებს, ამ დროს კი მეგრისიკულ შტაბისტებს უფასოდ ურიგებდა მთავრობა სანოვაგესა და თბილ ჩასაცემეს. ადგილობრივი მოსახლეობის სტუმარმოწყობა რომ არა, ალბათ მხედრობის ხალხი შიმშილს ვერ გააუარჩებოდა. ერთი სიტყვით, სოფლებში, სადაც ხალხს არავითარი თავდასხმა აღარ ემუქრებოდა, მხედრობის უკვე აღარაფერი ესაქმებოდა. სუფთა პოლიტიკური ბრძოლა ან ღმერთგვია იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ოსების ავტონომიის გაუქმება საბჭოთა სინამდვილის დროს, ჩვენი საქმე არ იყო, და ცხრა დღის შემდეგ დავერულით თბილისში.

გორის რაიონის ე.წ. "ადამიას შტაბს", როგორც იტყვიან, უსიკვდილოდ არ სურდა დატეხვებინა იქაურობა. და მართლაც, როგორც ვნობილია, ვიდრე რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე არ შეიწირა, ფეხი არ მოიკვალა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შტაბობანას და პიკეტობანას წინააღმდეგნი იყვნენ თვით "წმინდა ილია მართლის საზოგადოების" გამგებობის მთავრები, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლები: ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ სუბმათაშვილი და თორნიკე ფიფია. ჩვენ, "საქართველოს მხედრობის", ქვემო ქართლში ვიყავით მაშინ, როცა სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები ბიბლით ცდილობდნენ გზის გაკვლევას; აფხაზეთში ვიყავით მაშინ, როცა მათ მიტინგი მიარდათ ყველა პრობლემის გადაწყვეტის პანაცეა; ისინი წამოგვყვნიდნენ შიდა ქართლში იმ სულსიკვდობით, რომ საჭირო იყო "მეგავრების მოძილება", მაგრამ, როგორც იტყვიან, "მაღა ვამაში მოდისო..."

ახლა, შიდა ქართლის "წუნწაობის" შემდეგ, სხვადასხვა ორგანიზაციები მათთვის შეუჭრებელ და სახიფათო გზას აღვებინათ. ჩვენ, ალბათ, მეათასდღე ვიმეორებთ: პარტიები, ორგანიზაციები - რამდენიც გინდათ, სამხედრო საქმე - ერთი! წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავცდებით უარო სამოქალაქო ომს, რომლის შედეგი საბოლოოდ დამლუპველი იქნება. "საქართველოს მხედრობის" ყოველ ღონეს იხმარს, რომ ეს არ დაუშვას. ისტორიული გამოცდილება გვგარანახობს, ყველა პარტია თავის კერძო ინტერესებს ხშირად უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე საერთო საქმეს, და ყოველთვის იმას ირწმუნებოდა, რომ ხალხს სწორედ ის სურს, რაც ამ პარტიას. ვიწრო პარტიულობის და ერთი ანტიკომუნისტური სულსიკვდობის გაღვივების წინააღმდეგ იბრძოდა ყველა ჩვენი გამოჩენილი ადამიანი და, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე.

"საქართველოს მხედრობის" საქვეყნოდ აფხაზეტს, რომ არავითარ შემთხვევაში არ იმიტმედებს ქართველი ხალხის დაუვიწყარად ისევ საქმეში, რაც მთელ ხალხს ეხება, და დაემორჩილება არა რომელიმე ერთ პარტიას ან საზოგადოებას, გინდაც პარტიების ჯგუფს, არამედ საქართველოს ნდობის მანდატის მქონე საკრებულოს, ფორუმს, კონგრესს... იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სუბიექტი არ იქნება, გათვალისწინებს ქართველი ხალხის ყველა წარმომადგენლის პოზიციას და შეჯერებული პოლიტიკური გადაწყვეტილებით იხელმძღვანელებს. ასე იყო ღეგამი და ასე იქნება მომავალშიც.

"საქართველოს მხედრობის"  
1990 წლის იანვარი-მაისი.

\* იმ პერიოდში ყველა კმაყოფილი იყო, რომ ისინი ნახევარ ფასში არიგებდნენ სურსათსანოვაგეს. თბილისში გაირკვა, რომ ეს სურსათ-სანოვაგე მთავრობისაგან უფასოდ პქონდათ მიღებული.

ა.წ. 18 ივნისს საქართველოს პროფსაბავსოს შენობაში უნდა გამართულიყო მერაბ კოსტავას ფონდის კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ფონდის მუშაობაში არსებული დარღვევების საკითხი.

შენობის შესასვლელში თავიდანვე შეინიშნებოდა დაძაბული სიტუაცია. სხდომაზე დასასწრებად არ უშვებდნენ ფონდის მონაწილე იმ მოქალაქეებსა და საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომელთაც დიდი თანხა ჰქონდათ შეტანილი ფონდში, აგრეთვე მოწვეულ მოწვეულებს. შენობასთან იღვრა თელავის ავტობუსი, რომელიც იხსენებდა ხაკობერტანსაყმიდან მოქალაქეები. მათ განაცხადეს, რომ გეოლოგები იყვნენ! ამასობაში იქ მყოფმა ხალხმა ავტობუსში იარაღი შენიშნა. "საქართველოს მხედრონის" წევრებმა და სხვა პირებმა შეძლეს ავტობუსში მყოფთა განთავსება. ავტობუსში აღმოჩნდა გარკვეული რაოდენობის იარაღი.

იმავლე ღვს მითინგზე ზვიად გამსახურდიამ შეიარაღებული თელაველები, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში იღვნიერ პროფსაბავსოს შენობასთან, ყვარულე მოპიკეტივებად დასახა, რომლებიც ვითომდაც მასთან საკონსულტაციოდ ჩამოვიდნენ... "ლექიანობის" საკითხებთან დაკავშირებით (!).

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ-ერთ თელაველის ახსნა-განმარტებას ამ ინციდენტთან დაკავშირებით. ჯერჯერობით გვარები შევნიშნულად გამოვტოვებთ. ახსნა-განმარტება ინახება "საქართველოს მხედრონის" არქივში.

საქართველოს პროფსაბავსოს განმარტების მუშაობის საკომისიის ცენტრი

--- --, მცხოვრები ქ. თელავში, --- ქ. № ---

მერაბ კოსტავას საზოგადოება

ახსნა-განმარტება

თებერვალში 1990 წლის მიმდებარე მერაბ კოსტავას საზოგადოებაში ქ. თელავში, თელავის გამგეობაში. --- --, --- --.

1990 წლის 17 ივნისს დამიძახეს საზოგადოების შეკრებაზე, სადაც ვიმყოფებოდი 30-32 კაცი. --- --, --- --, --- -- და სხვებმა დაგვიჩვენეს ფორმები და დაგვავალეს იარაღის მოტანა; რათა მეორე ღვს გავემზადებოდა თბილისში.

"შედეგა ესეთი დაპარაკი", რომ რამდენიმე ღვს წინეთ თბილისში გამოქვეყნებულ წერილებზე ყველა ხელისმომწერმა უარი განაცხადა, რადგან ეს არის პროვოკაცია და ჩვენ უნდა წავიდეთ თბილისში შეიარაღებული, რომ იქ მომხდარ პროვოკაციას, რომელიც მოსალოდნელი იყო, როგორც საუბარში გაგვაცნეს, ეს პროვოკაცია უნდა მომხდარი

ყო ჯაბას ბიჭუბის მხრიდან და ჩვენც სროლით უნდა გვეპასუხა. გაგვავრდობდნენ, რომ ---ს დაგვალბათა --- რაც კი იარაღი გაქვე წამოვიდეთ, უნდა დაგვეცვა ფონდში შესასვლელი კარი. შემოტევის შემთხვევაში უნდა აგვეტეხა სროლა. როდესაც ვიკითხეთ, რატომ მაინც და მაინც ჩვენ გვიყენებთ ასეთ საქმეში, გამგეობის წევრებმა განაცხადეს, რომ თბილისელებს ყველას იცნობენ და ამიტომ თქვენ რომ ვერ გიცნობთ სახეზე ვინმემ და ვერ გაიგონ ვინ ვართ ამიტომ მიგვყავართ თქვენო. სროლის შემდეგ უნდა გავქვეულებოდათ და მიგმალულიყავით, რომ მილიციას ან ვინმეს ხელში არ ჩავგვადეთ და არ გაეგოთ ჩვენი ვინაობა.

ჩვენ წინასწარი დაპარაკით დაგვარწმუნეს, რომ ესენი ხელს უშლიან მრგვალ მაგიდას მუშაობაში, შეკრული არიან ზანტურასთან, წერეთელთან და ფორუმში მყოფ ეროვნული მოძრაობის მტრებთან. დეიფონ ჯაბას ხალხი არის მტერი ეროვნული მოძრაობისო. ეს ხალხი შეკრულია მგელაძესთან და უნდათ ეროვნული მოძრაობის განადგურებაო. არიან "სუკის" აგენტებიო. ჩვენც ამაზე აღვუვებულები და აღვფრთხილებულები წამოვიდეთ თბილისში, რათა არ გაეხარათ ეროვნული მოძრაობის მტრებს.

თბილისში დაგვხვდა --- --საგან წარმომადგენელი კაცი, სახელად --- --, და მოვიწვია ვისაც პატარა იარაღი გაქვე კარებში ჩადებოთ. (პროფკავშირების სახლის კარებში). ვისაც დიდი იარაღი ჰქონდა უნდა დარჩენილიყო ავტობუსში. დანარჩენი ხალხი უნდა გაეშლიყო.

კითხვებზე ვპასუხობ, რომ: მე ჯაბას ხალხთან არავითარი ინტერესი არ მქონია. მოვიდიოდი საზოგადოების დაგვალბათ. პირადად --- --ს დაგვალბათ. ჩვენ ვიკითხეთ, რომ მართლ --- რატომ წყვეტს ესეთ სერიოზულ ამბავს. გამგეობის წევრებმა დაგვაცხადეს, რომ ეს ყველაფერი შეთანხმებულია მრგვალ მაგიდასთან და პირადად --- --სთან.

როდესაც მანვერებმა გაგვაცეთ და დაგვქვე ჩვენ-ჩვენ აღვივებუ და როდესაც მოვლოდა ხალხი, ამ დროს ქალებმა ავტობუსში იარაღი დაგვინახეს შემთხვევით და ატეხეს ყვირილი "ქართული ოკუპანტებიო". ავტობუსში შევივდა ხალხი და წავგარდეს იარაღები. სამი ვინტოკა, გაცო, სანადირო თოფები. რაოდენობა უსტად არ მახსოვს. იყო სამი პისტოლეტი, რაც მე ვიცი.

კითხვაზე ვპასუხობ, რომ ეს ხაკის ფორმები იმიტომ გვეცვა, რომ სროლის დროს ერთ-მანეთი დაგვერჩია.

ახსნა-განმარტება ჩემის ხელით არის დაწერილი და ხელს ვაწერ. (ხელმოწერა) 1990 წლის 18 ივნისი (სტილი დაცულია)

**სიმაჟთლა მწარე ნამაღია**

გაზ. "ივერიის" ბოლო ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ ჩვენს რედაქციაში გახშირდა ტელეფონის ზარი. რედაქტორს ალმ-ფრთხილი მანდილოსნები და მირისხანდ გვიცხადებდნენ, თუ როგორ ვებღავდეთ ბ-ნ ზვიად გამსახურდიანზე "თავდასხმას", მის კრიტიკას და ა.შ. ბევრ მათგანს ჩვენი მონაგონი ეგონა ზვიად გამსახურდიას გამოსვლების ტექსტები. რამდენიმე მათგანი გვეწვია კიდეც და საკუთარი ყურით მოისმინა ჩანაწერები, საკუთარი თვალით შეამოწმა მითითებული, დამადასტურებელი მასალები... ბევრი მათგანი დამშვიდებული წავიდა, ბევრიც აღფრთხილებული, ოლონდ... უკვე ზვიად გამსახურდიანზე...

აი, ასეთია სიმართლის ძალა! მაგრამ ზოგიერთ მათგანი გულისტყვივით გვეკითხებოდა და გვასყვედურობდა, - რაში გვირდებთ მისი მხილება და კრიტიკა, გაუშვით, ილაპარაკოს, ნუ მოაქცევთ ყურადღებას, ჩვენ ხომ ყველას ერთი მიზანი გვაქვს - დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო ასეთი კრიტიკა და მხილება ეროვნული ძალე-

ბის ერთიანობას უშლის ხელსო. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? მთელი 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ადამიანს ბევრი რამ აკრებოდა პირობები... მაგრამ რაც ყველაზე მეტად აკლდა, და რასაც ყველაფრის გამოსწორება შეეძლო - ეს იყო სიმართლე. მთელი 70 წელი სიცრუისა და დებინფორმაციის ვაობში იყო ჩაფლული ეს უზარმაზარი იმპერია. ტაბუ ჰქონდა დაღებული პიროვნულ თუ ეროვნულ ჩაგვრაზე დაპარაკს. ცამდე აპყავდათ, ხოლო შემდეგ ქვესცენაში ცვივდნენ ბელადები, გენერალური მღივნები...

ყოველგვამის მომსწერი და აღმქმელი ნუთუ ღვს სიცრუეს რაიმე გამართლებას უნდა უძებნიდეს? არა, სიცრუე, ცილისწამება და ხალხის დებინფორმირება არა მარტო ელემენტარული უზნებობაა, არამედ ყოველგვარი ბოროტების წყაროც, და ეს პირველ რიგში იმას არ ებატიება, ვინც წმინდა მიზნისათვის ბრძოლაზე, ეროვნული მოძრაობის დიდებობაზე აცხადებს პრეტენზიას. სიცრუისა და ცილისწამების მხილებამ შეუძლებელია ეროვნული მოძრაობა გახდეს შის. პირქით. ეროვნულ მოძრაობას სწორედ სიცრუე და ცილისწამება სთიშავს.

სიცრუის არ-მხილება, ანუ ჭირის დაფარვა ეროვნულ მოძრაობას არაფერს არგებს, რადგან დაფარულმა ჭირმა შეიძლება სწორედ კრიტიკულ მომენტში იჩინოს თავი, რადგან ჭირის დაფარვა შეუძლებელია. როგორც დავით გურამიძის იტყვია - "მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატვივარი არა ჰფარავს..."

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სიმართლე მწარე წამალია, მაგრამ, ამავე დროს, განმკურნებელიც. მაგალითისათვის ხალხისა და სტალინის დამოკიდებულების განხილვაც კმარა. როგორც ცნობილია, სტალინი უსაზღვროდ უყვარდა ხალხს. ამის მიზეზი ღვს ნათელია: ხალხს სტალინის შესახებ აწვდიდნენ მხოლოდ მის განმადიდებელ ყალბ ინფორმაციას. ხოლო როდესაც სტალინის შესახებ ყველაფერი სიმართლე ითქვა, ეს მეტისმეტად მწარედ განიცადა ხალხმა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ საზარელი ურჩხულის სიყვარულისგანაც განიკურნა. ამ მაგალითიდან სრულიად ცხადია, რა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიღოს ამა თუ იმ პიროვნების ხელგებნად განდიდება (მთ უფრო პოლიტიკოსის), მისთვის ყოველგვარი სიყვანის მიწერამ და არასწორი საქციელის მიჩქმალვამ.

კლი წერეთლის მისამართით მაღიან გაღიბანებული კილოთი თქვა: რამდენი წლისაც ებ არის, იმდენი წელი ზვიად გამსახურდიას ცხიხეში იჯლოთ. იმ მანდილოსანმა, იტყობა, გულწრფელად დაუჯერა გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელს", რომელმაც წელიწადნახევრიანი ცხიხე და გადასახლება "ცხოვრების ნახევარზე მეტად" უქცია ზვიად გამსახურდიას! (იხ. გაზ. "ახ. ივერიელი", 31.03.90 წ.) ცხადია, მტყუანი ეს მანდილოსანი არაა, მტყუანები გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი" და მტყუანები დებინფორმირებები არიან! (ისე კი, საკითხავია, როდემდე უნდა გაგრძელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ზვიად გამსახურდიას უსაზღვრო რეკლამირება, მის და მის მიმდევართა მიერ საკოორდინაციო ცენტრში შემავალი ორგანიზაციებისა და პირების ლანძღვა-ვინება და ცილისწამება და საკოორდინაციო ცენტრის საპასუხო განცხადებების ბლკირება?) განვიღვამა 70 წლის საზარელმა ისტორიამ, დროა, გონს მოიყვანოს ისინი, ვინც ღვს სიცრუისა და ცილისწამების გამართლებას ცდილობს და სიცრუის მხილების გამო აღფრთხილებულია...

**ასეც ხლება**

წელიწადზე მეტია გრძელდება უსაშველო კონფლიქტი მწერალთა კავშირის სამდივნოსა და მთარგმნელობით კოლეგიას შორის - კონფლიქტი ვითომ ლოკალური, რაღაც საშუალო საწარმოსა და პიროვნულ შორის: თითქოს-და მწერალთა კავშირის სამდივნო გულწრფელად შეწუხებული იყოს ქართული მთარგმნელობითი სკოლის დღევანდელი მდგომარეობით და მხოლოდ კოლეგიის "უნიათ" ხელმძღვანელის გამოცვლა სურდეს.

კონფლიქტის ნამდვილ არსზე სხვა დროს მოგახსენებთ, ახლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ სინამდვილეში აქ სულ სხვა ტენდენცია იჩინს თავს.

ჯერ კიდეც 1987 წლის ბოლოს, როცა რღია ჭავჭავაძის საზოგადოება შეიქმნა, კოლეგიის თავმჯდომარეს გადაჭრით მოთხოვეს - სამსახურიდან უნდა დაითხოვო ზურაბ ჭავჭავაძეც, ცილა არდაშეღაც და საერ-თელ, დისიდენტთა შტაბად ნუ აქციე შემოქმედებები დაწესებულებაში. კაცმა რომ თქვას, ამ ბრალდებაში მართლაც იყო გარკვეული სიმართლე, ოლონდ კოლეგიის თავმჯდომარე არ

დაემორჩილა ზემდგომი ორგანოების ამ მიითებას და უფრო მეტიც - სწორედ იმ ხანებში მოითხოვა კოლეგიამ აღმინისტრაციული დამოუკიდებლობა და გამომეცემლობის სტატუსი! რაღა თქმა უნდა, შედეგმაც არ დააყოვნა. მართალია, იმთავითვე რეპრესიული ზომების მიღებას კი მოერიდნენ, მაგრამ დღითიღვ ძლიერდებოდა დაწესებული კოლეგიის კონფლიქტისა და მის ხელმძღვანელების მიმართ კავშირი რაღა შუაშიათ, - იციხება. საქმეც ეგაა, რომ დაარსების დღიდან ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად სამინისტრო უფროა, ვიდრე თავისუფალ შემოქმედებასაკრებულო და რა გასაკვირია, თუ საგამომცემლო საქმიანობაზე მონოპოლის დაკარგვის საფრთხეს ვერაფრით შეურიგდებოდა. იქნებ ამიტომაცაა, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა და ცკ მუდამ და ყოველთვის ხელმძღვანელებულნი მოქმედებდნენ! სწორედ აპრილის დღებში, როცა კოლეგია დემონსტრაციულად შეუერთდა საყოველთაო გაფიცვას, მწერალთა კავშირის ახლანდელმა სამდივნომ, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მთავარი დილოლო ნუგზარ ფოჭაძესთან ერთად იმისთვის მოივალა, რომ პრეზიდენტისაგან დაიგვა კოლეგიის თავმჯდომარის თ. ნოღიას მოხსნა.

9 აპრილის შემდგომ, კოლეგიისა და მისი თავმჯდომარის საკითხი დროებით გაღილი, მაგრამ უკვე 7 დღეებში სამდივნომ, ყოველგვარი იურიდიული უფლებამოსილებისა თუ, უბრალოდ, ადამიანური წესისა თუ რიგის გარეშე, რომელიღაც "საილემლო სერობაზე" მიღებული გადაწყვეტილებით, კოლეკტივის ნების საწინააღმდეგოდ, თთარ ნოღია მოხსნილად გამოაცხადა, ხოლო მის მაგივრად სწორედ იმ პიროვნების დანიშვნა განიზრახა, ვინც აპრილში გაფიცვის წინააღმდეგი იყო და რატომაც სულ იმას გაიძახოდა - ორშაბათამდე უნდა მოვიცადოთ (?), ახლა კი საგაფიცო კომიტეტის წევრებს ემუქრება, საცა საჭიროა, იქ გაიწიროდებიო (!)

მწერალთა კავშირის მხრიდან ასეთი დამოკიდებულებისადმი პროტესტის ნიშნად მწერალთა კავშირის წევრებზე უარი განაცხადეს გიორგი ბაქანიძემ, ნაირა გელაშვილმა, ზურაბ კიცანიძემ, ვახუშტი კობეტიშვილმა და მიხეილ ქველიძემ. ბარემ ისიც ითქვას, აქამდე რატომ მივიყვანეთ საქმე და ფართო საზოგადოებას დროზე არ ვაცნობთ ყოველივე? ნურას უკაცრავად, არა ერთი და ორი საგაზეთო პუბ-

ლიკაცია თუ სატელევიზიო ჩანაწერი დაიბ-ლუკა "სატელეფონო უფლებით". რა თქმა უნდა, შეგვეძლო თავიდანვე ეროვნული მოძრაობისათვის მიგვემართა, მაგრამ იმდენი ვეკონდა, თვით მწერალთა კავშირის შიგნით არსებული სადი აზრი განმარტებდა, დაგვეხმარებოდა, მოგვეტეხა გამოსავალი და ამ დაძაბულ დროს კიდეც ერთი არ მიგვემატებინა პრობლემათა გრძელი რიგისათვის. მაგრამ რიცა სწორედ ის ხალხი, ვინც მთელი ცხოვრება შავი "ვოლგადან" არ ჩამოლიოდა, ან წელიდან წლამდე კომკავშირის პრემიებს იჯიბავდა, ან არადა ტრანსკავკასიის მაგისტრალის აპოლოგებულ გვეციენებოდა, ახლა რომ ანტიეროვნულ საქმიანობაში ხმამაღლა დაგვედს ბრალს და მწერალთა კავშირის ახალი წესდების პროექტში პირდაპირ დაგვიწერს - კოლეგიას ერთი რამ ევალება მხოლოდ: აფხაზური და ოსური ლიტერატურის თარგმანო, - აშკარაა, მწერალთა კავშირის აპარატი განუპურებელი სენითაა შეწყობილი და ამის მიჩუმათვაც უკვე შეუძლებელი ხდება.

მთარგმნელთა კოლეგიის საგაფიცო კომიტეტი

# ზურაბ ჭავჭავაძის ლიტერატორი ანდრეი სახაროვისადმი

ზურაბ ჭავჭავაძემ - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი და მისი ერთ-ერთი ზნეობრივი ბურჯი...

ანდრეი სახაროვი - მსოფლიოში სახელგანთქმული სამართალდამცველი, ნობელის პრემიის ლაურეატი, რუსი ხალხის სინდისი...

დღეს ისინი აღარ არიან ამქვეყნად...

ანდრეი სახაროვმა თითქმის ბოლომდე თქვა თავისი სათქმელი, თითქმის ბოლომდე აღასრულა თავისი მისია.

ზურაბ ჭავჭავაძის ცხოვრება შუაგზაზე გაწყდა...

მით უფრო ზარბაზნაძე იყო მისი სიკვდილი, მით უფრო მვირგანოა ყველაფერი, რაც მისგან შემოგვრჩა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ-ერთ ასეთ მვირგანს დანატოვარს - წერილს ანდრეი სახაროვისადმი.

ორივე სიტყვა ამ წერილის შესახებ.

შარშან ჟურნალ "ოგონილი" გამოქვეყნდა ანდრეი სახაროვის ინტერვიუ, რომელშიც საქართველო "მცირე იმპერია" იყო მოხსენებული. ანდრეი სახაროვის სიტყვას კი მთელი მსოფლიო ენდობოდა.

ქართველი საზოგადოებრიობა, რა თქმა უნდა, სახაროვის სიტყვებში გამოეხმაურა ამ ინტერვიუს. გამოქვეყნდა საკმაოდ ცხარე წერილებიც.

პასუხი დაწერა ზურაბ ჭავჭავაძემაც, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დაასრულა.

ზურაბ ჭავჭავაძემ დიდ პატივს სცემდა ანდრეი სახაროვს. საყურადღებოა მისი შეხვედრა ანდრეი სახაროვთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 9 აპრილს ამბების შემდგომ დღეებში. ზურაბ ჭავჭავაძემ მას გააცნო დამოუკიდებელი კვლევის შედეგად

მიღებული დასკვნა, რომ 9 აპრილს გამოცემული იყო კიდევ სხვა სახეობის, მიმდევრული შემცველი მომწამვლელი გაზეთი. (სხვათა შორის, იგივე დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიღეთ დასავლეთგერმანიელი ექიმებიც).

ზურაბ ჭავჭავაძის წერილში კარგად იგრძნობა დიდი პატივისცემა ანდრეი სახაროვის მიმართ. მაგრამ ამასთანავე კარგად ჩანს მისთვის დამახასიათებელი უაღრესი პრინციპულობა, განსახილველი საკითხის ღრმა ანალიზი, ერთაშორისი ურთიერთობებისადმი ჭეშმარიტი პოლიტიკური მიდგომა. მსოფლიოში სახელგანთქმულ სამართალდამცველს იგი ეკამათება მშვიდად, დარბაისლურად, სახელოვან წინაპართაგან ნამდვილად პიროვნული ღირსების გრძნობით...

როგორც ცნობილია, ანდრეი სახაროვმა მოგვიანებით განაცხადა, რომ მისი ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია "საქართველოს მცირე იმპერიაზე", კორესპონდენტის მიერ იყო განზრახ დამახინჯებული და რომ სინამდვილეში აქ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო არა საქართველოზე, არამედ რუსურ-ზე. თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი კორესპონდენტის მიერ სახაროვის აზრის განზრახ დამახინჯებისა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ ჯერ კიდევ ბოგინებს მცდარი აზრი საქართველოს ეთნიკური პრობლემების შესახებ (ძირითადად აფხაზ და ოს სეპარატისტთა მიზნით), ამიტომ ამ წერილს არა აქვს მართი ისტორიული ღირებულება (თუმცა ამ დედალსარისთავე საჭირო იქნებოდა მისი გამოქვეყნება); მასში ისეთ საკითხებზეა მსჯელობა, რაც დღესაც ძალზე აქტუალურია და აღბაა ხელსაც შეუწყობს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ არაქართველთა შორის სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. (წერილი ქვეყნდება ჩვენს რუსულ გაზეთ "კავკასიონში").

ანზორ აბუანდაძე

(თარგმანი რუსულიდან)

საუკუნეთა მანძილზე სახელგანთქმულ საქართველოში სხვადასხვა რაოდენობის ებრაელები ღვებდნენ. ებრაელ იმიგრანტთა პირველმა ნაკადმა საქართველოს მოაღწია ქრისტეს დაბადებამდე მე-6 საუკუნეში (ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოს II-ის მიერ იერუსალიმის დაპყვევის შემდეგ). ჯერ კიდევ მაშინ დააარსეს ებრაელებმა ჩვენთან პირველი დასახლება, მათ შორის ცალკე უბანი საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. ამის შემდეგ, მთელი 25 საუკუნის მანძილზე საქართველო საიმედო თავშესაფრად რჩებოდა უმრავლეს ქვეყნებში დევნილი ხალხის წარმომადგენელთათვის.

1897 წელს შედგა I სოციალური კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ებრაელები წარმომადგენლები, დღეგაატარა აღნიშნეს, რომ ებრაელები ყველგან განიცდიდნენ დევნას, რომლის გადაზრდა ხშირად ხდებოდა დარბევებსა და გენოციდის მცდელობაში. დამსწრეთათვის სრულ მოულოდნელოდ იქცა ქართველ ებრაელებს წარმომადგენლის გამოსვლა, რომელმაც მადლიერებით ილაპარაკა ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე; იმაზე, რომ საქართველოს ისტორიამ არააუ არ იცის ებრაელები რბევები, არამედ საერთოდ, ანტისემიტობი უცხოა ქართველი ხალხის ბუნებისათვის.

ასეთი იყო ქართულ-ებრაული ურთიერთობა "ძველ, კარგ დროს". როგორია იგი დღეს? ქართველმა ებრაელებმა, რომლებიც ისრაელში გადასახლდნენ, შეინარჩუნეს უანგარო ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა თავიანთი მთრე სამშობლო - საქართველოსადმი. მათ იქ, წმინდა მიწაზე, დააარსეს ქართული დრამატული თეატრი, მრავალი საესტრადო თუ ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც ქართულ სიმღერებსა და ცეცხვებს ასრულებენ; გამოსცეს ორი დიდი მოკლულობის გაზეთი; შეაჯროვეს სახსრები იერუსალიმში შთაა რუსთაველის ძეგლის ასაგებად, აგრეთვე იერუსალიმის ბერძნული პატრიარქატისაგან ქართული ჯვრის მონასტრის გამოსასყიდად, რათა ის გადასცენ ისტორიულ მფლობელს - საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ა.შ.

1987 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იერუსალიმში ჩაიტანა წმინდა ილია მარალის (ჭავჭავაძის) ხატი. დამხველურმა ქართველმა ებრაელებმა მის უწმინდესობას სთხოვეს ნებართვა, რომ მათ ვიეთონ შეესვენებინათ ხატი ჯვრის მონასტერში, რაზეც თანხმობა მიიღეს კიდევ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან! რთ შეიძლება აიხსნას ეს დაუჯერებელი, და, როგორც ჩანს, მთელი დანარჩენი საქრისტიანო და იუდაისტური სამყაროსათვის გაუგებარი ფაქტი, თუ არა ქართულ-ებრაული უპრეცედენტო ურთიერთობი? (ილია იმას ნუ იფიქრებთ, თითქმის ქართველი ებრაელები არასცმარისი ერთგულებით ეპყრობიან რელიგიურ საკითხებს! არა, ისინი იუდაიზმის ყველაზე კონსერვატიულ დამცველებს მიეკუთვნებიან). ქართველი ებრაელები, რომლებიც საქართველოში 25 საუკუნეზე მეტი ხანია ცხოვრობენ და იგრიტოც კი აქვთ შენახული, ამჟამად, ისრაელში გადასახლებულები, ცდილობენ, რომ მათმა შთამომავლებმა შეისწავლონ და შეინახონ მთრე მშობლიური ენა - ქართული. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ქართველი ებრაელების ასეთი ერთგული დამოკიდებულება ყოველივე ქართულისადმი, თვალსაჩინოდ აღასტურებს მათ კეთილშობილებასა და მადლიერებას, არამედ ჩემი თანამემამულეების ასევე კვირ დამოკიდებულებას. მრავალწინა ებრაელი ხალხისადმი? შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამტკიცოთ, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობა ჭეშმარიტად სამაგალითოა ნებისმიერი ორი ხალხისათვის.

რატომ მოვიყვანე ჩვენი დამოკიდებულების მაგალითი მაინცდამაინც ებრაელებისადმი? იმიტომ, რომ სწორედ ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება წარმოადგენს სასინჯ ქვას ამა თუ იმ ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი შემწყყარებლობის შესაფასებლად, უპირველესად იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში ებრაელები გაფანტულნი იყვნენ პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და სრულიად ადვილად შეიძლება ამგვარი შედარების გაკეთება; მეორეც იმიტომ, რომ სწორედ ებრაელები იყო ის ხალხი, რომელთა დარბევრა, მათი სრული უმწყობის გამო, დაუსჯელად შეიძლებოდა, "შეიძებოდა" მრავალათვის, მაგრამ არა ქართველებისათვის.

გვიკრძობ, არ იქნება ზედმეტი შეგახსენოთ, რომ ჩემი სამშობლო, ისევე როგორც სხვა "მოკავშირე რესპუბლიკები", წარმოადგენს კოლხიას სწორედ იმ რუსეთისას, რომლის სინდისსაც სამართლიანად ითვებთ, და თუნდაც მხოლოდ ამ "უბრალო" მიზეზის გამო მეტისმეტად ძნელია წარმოვიდგინოთ არსებობა ქართული, უკრაინული ან ესტონური "იმპერიებისა", ვინაიდან ძნელია იმის დაჯერება, რომ კრემლის იმპერია რომელიმე ერს დარბავს ნებას, განახორციელოს საკუთარი "მცირეიმპერიული" ამბიციები. მაგრამ რახან თქვენ თავს ნება მიეცით გელაპარაკათ "ქართულ იმპერიაზე", იძულებული ვარ, როგორც იტყვიან, ყველაფერს საკუთარი სახელი ვუწოლო. ჯერ ცოტა რამ ისტორიიდან.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ დაარღვია 1783 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულება



ცენტრში: ანდრეი სახაროვი და ზურაბ ჭავჭავაძე.

და მოახდინა საქართველოს სამეფოს ანექსია. არ შევჩერდები იმ აურაცხელ მხეცობაზე, რასაც რუსი ოკუპანტები სჩადიდნენ ჩვენთან, ავღნიშნავ მხოლოდ, რომ საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რომელიც 1918 წელს დამთავრდა რუსეთის 117 წლიანი უღელის გადაგებით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით, რომელმაც იარსება სამი წელი და ცნობილი იქნა თავიდან ღე ფაქტო, ხოლო შემდეგ ღე იურე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა რუსეთის მიერ, ამ უკანასკნელმა კი თურქეთთან დაღ საიდუმლო შეთანხმება, დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოსთან და ომის გამო უცხადებლად 1921 წლის თებერვალში თავს დაესხა პატარა რესპუბლიკას. ორივე კვირის შემდეგ ომში ჩაერთო თურქეთიც. საქართველოს ბედობალი წინასწარ იქნა გადაწყვეტილი და რამდენიმე კვირის განმავლობაში წარმოებულ უთანასწო ბრძობების შემდეგ ქართული ჯარები დამარცხდა, ხოლო საქართველოს ტერიტორია გაიყვეს თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს. საბჭოთა ხელისუფლებამ მისთვის დამახასიათებელი თვალმაკცობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 2/3 ტერიტორიაზე შექმნა "სუვერენული" საქ.სსრ, ხოლო ქართული მიწის 1/3 გაუნაწილეს თურქეთს, რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. ე.წ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიქმნა სამი ავტონომიური ერთეული: აჭარის ასსრ (ქართველი მუსულმანებისათვის) და ეს მოხდა მძვინვარე ათეისტების ქვეყანაში!!!), აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

თქვენ ცნობილი ფიზიკოსი და მსოფლიოში სახელგანთქმული სამართალდამცველი ხართ, პატივცემული ანდრეი დმიტრიევიჩ, მაგრამ სანამ "ქართულ იმპერიაზე" მსჯელობას დაიწყებლთ, ურიგო არ იქნებოდა, ასე თუ ისე საფუძვლიანად გასცნობოლით საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნიკურ შემადგენლობას, ადმინისტრაციულ დაყოფას. მაშინ აღარ ჩავარდებოლით ასეთ უხერხულ მდგომარეობაში. აი, მაგალითად, ინტერვიუში თქვენ ამტკიცებთ, რომ "საქართველოს შემადგენლობაში შედის აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები." ნება მოჰყოლო, ვკითხოთ: პატივცემული ანდრეი დმიტრიევიჩ, კიდევ რამელი "სხვა ეროვნული წარმონაქმნებია" თქვენთვის ცნობილი საქ.სსრ ტერიტორიაზე??? რაც მართალია, მართალია: აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ალ-ს გარდა საქართველოში შედის კიდევ ერთი ავტონომიური ერთეული - აჭარის ასსრ, მაგრამ რომ ჩავხედოთ რომელიმე ცნობარში, თუნდაც ისეთ, ყველასათვის ხელმისაწვდომში, როგორცაა საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი, მაშინვე გავხვდებით, რომ "აჭარლები - ქართველთა ეთნიკური ჯგუფია, ცხოვრობენ აჭარის ასსრ-ში, ალ-ს ქართული. წარსულში იყვნენ მუსულმანები, განსხვავებით ქართველთა ბირთვად წაწილის - ქრისტიანებისაგან." (СЗС, М.1965) აღბათ დამეთანხმებთ, რომ ძნელია აჭარის მიმართ გამოვიყენოთ გამოთქმა - "სხვა ეროვნული წარმონაქმნები", თანაც მრავლობით რიცხვში!!! ან იქნებ თქვენ იცით კიდევ რამე (დასასრული მე-6 გვერდზე)

## ზურაბ ჭავჭავაძის დიალოგი ანდრეი სახაროვისადმი

(დასასრული)

მელიმე "ეროვნული წარმონაქმნი" საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ - გულბერყვილი ქართველებს - ვერ აღმოგვიჩინა?! თუ ასეა, მაშინ უმორჩილესად ვახოვთ, მიგვიბოძეთ მათზე!

მანამდე კი, სანამ ასე იზამდეთ, მაინც ნება მიბოძეთ, გავხიზნათ: რას ეფუძნებოდათ როცა, ფაქტურად, ამტკიცებდით, რომ სამხრეთ-ოსეთის ათ არ არის საქართველო?! აღბათ ტოპონიმ "ოსეთს" და რუსეთის სახელმწიფოს ქვეყნობიერ ანალოგიას. სწორედ რომ ასეა: აგრესორმა რუსეთმა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დაიმონა ახალი და ახალი ხალხები, და დაიკავა მათი ტერიტორიები. ამ ხალხებს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეფუძნებათ თქვენთვის უცხოურად, მაგრამ მაინც ავტონომიები. და, რა თქმა უნდა, სამართლიანია, დემოკრატიულია და ადამიანური თქვენი მოთხოვნა - შეწყვეტთ მალმომრებობა და თვითნებობა ამ მრავალრიცხოვან პატარა ერთა მიმართ, რომლებიც დამონებულნი არიან რუსურ-ს შემადგენლობაში. მაგრამ, ისევ საქართველოს ისტორიისა და თანამედროვე დემოკრატიული მდგომარეობის უკონკრეტო მიზეზით, თქვენი უაღრესად პროგრესული შეხედულებანი რუსურ-სი ნაციონალური საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს შემთხვევაში აბსოლუტურად მიუღებელია. ტერიტორია, რომელიც დღეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს უკირავს, წარმოადგენს ძველსძველ ქართულ მიწას. აქ უხსოვარი დროიდანვე ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს მკვიდრი ქართული მოსახლეობა (სხვათა შორის, ავტონომიური ოლქის ოთხი რაიონიდან ორში - ზნაურისა და ლენინგრადის რაიონებში უმეტესობა ახლაც ქართველები ცხოვრობენ). არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ საქართველოს ეს ნაწილი აღარ არის საქართველო და ის ოსეთად გადაიქცა? კი, იცის მსოფლიო ისტორიამ არაერთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ მკვიდრმა მოსახლეობამ დაკარგა უფლება საკუთარ მიწაზე, მაგრამ ეს ხდებოდა (და მომავალშიც შეიძლება მოხდეს) მხოლოდ დაპყრობის შედეგად. როგორაა საქმე ჩვენს შემთხვევაში?

ოსეთიდან ტერიტორიული ცალკეული ჯგუფები გადმოვიღოთ კავკასიონის ქედზე და სახლდებოდნენ ქართულ სოფლებში ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში. დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი ოსი ნახულდა თავშესაფარს სტუმარადმოყვარე საქართველოში. ოსი იმიგრანტების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნეში, როცა კავთომოძულე რუსულმა იმპერიამ დაიპყრო ჩრდილო კავკასიაში ოსი ხალხის ისტორიული სამშობლო. ეს პროცესი - გადმოსახლება ოსებისა ოსეთიდან საქართველოში - გრძელდებოდა შემდგომშიც, მაგრამ ამას არასოდეს მიუღია ოსეთის მიერ ქართული მიწის დაპყრობის ხასიათი: სხვადასხვა ძნელებელების გამო ოსების ისტორიული სამშობლოდან გამოქცეული ოსები სახლდებოდნენ ქართულ სოფლებში ქართველთა გვერდით და ცალკეულ მაღალმთიან სოფლებსაც კი აარსებდნენ ქართველ ხელოსნულად ნებადართვით. მაგრამ მთელი ისტორიის მანძილზე 1922 წლის 20 აპრილიდან კავკასიონის სამხრეთით არ არსებობდა (და არც შეიძლება არსებობდეს) თუნდაც უმნიშვნელო ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ჩასახვის სტადიაშიც კი. ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ოსური სახელმწიფო, როგორც ასეთი, საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ არის და მომავალშიც აუცილებლად იქნება დამოუკიდებელ საქართველოში ოსეთის ფართო კულტურული ავტონომია. ეს, ჩემის აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტაა საკითხისა, ხომ ვერ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ რაზან პარზის ახლს არის ქართული სოფელი ლევილი, საფრანგეთის ეს ნაწილი გამოეხადეს დასავლეთ საქართველოდ? ან, მაგალითად, ვაიხსენებ ვგრ, სადაც ადგილობრივ მანძილზე ცხოვრობს რამდენიმე მილიონი (!) თურქი. დასავლეთგერმანელები მათ ყოველგვარ პირობებს უქმნიან ნორმალური არსებობისათვის, იმასაც კი, რომ თურქთა ბავშვები დაწყებით განათლებას გერ-ში თურქულ ენაზე იღებენ. (მოიყვანეთ, აბა, პარალელები რუსურ-სი მცხოვრები დამონებული ხალხების მდგომარეობისა, სადაც ფორმალურად მკვიდრი მოსახლეობისათვის შექმნილია ავტონომიური ფორმირებები, ფაქტურად კი საბავშვო ბაღიდანვე ხდება მათი საყოველთაო რუსიფიკაცია!). მაგრამ ვის მოუვა აზრად ამტკიცოს, რომ გერ-ს რომელიმე ნაწილი თურქეთი და არა გერმანია?!

განმეორება მიწევს, მაგრამ რა გაეწყობა: საქართველოს აქვს ისეთი ჩრდილო საზღვარი, რომლის ვერაძეობა ძალზე ძნელია. ესაა კავკასიონის მთავარი ქედი. რაც შეეხება ოსებს, რომლებიც ისტორიულ კატაკლიზმთა შედეგად აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და აქ მეთრე სამშობლო პოვეს, ისინი საქართველოს განთავისუფლების შემდეგ მიიღებენ ფართო კულტურული ავტონომიის ოსური ენის, კულტურის, ეროვნული თვითშეგნების სრულფასოვანი განვითარებისათვის და დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში ისარგებლებენ ყველა სამოქალაქო უფლებებით და თავისუფლებით.

მე უაღრესად მაღლობელი დაგრებით, თუ თქვენ გამოთქვამთ თქვენს აზრს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით.

მაგრამ, ნება მიბოძეთ, გამოთქვა ეცვი, პატივცემული ანდრეი დმიტრიევიჩ: თქვენ ან ოსებზე არა ნავლობთ; ან ცუდად ერკვევით საქმის ვითარებაში - თქვენ ხომ არც კი წამოგვდენით რამე ოსურ ეროვნულ პრობლემაზე მათ ისტორიულ სამშობლოში, რომელსაც დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში აქვს. აქ კი სწორედ რომ შესაძლებელია შედარება. ოსების მდგომარეობა რუსურ-სი და საქართველოს სსრ-ში თვალსაჩინო მავალითა ქართული "ნაციონალიზმისა" და რუსული "ინტერნაციონალიზმისა".

ოსებს საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნე, აქვთ ავტონომიური ოლქი, თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე კი ავტონომიური რესპუბლიკა. ფორმალურად ეს თითქოს სამართლიანია, მაგრამ როგორ უფლებანი და შესაძლებლობანი აქვთ ოსებს ამ ორ, სტატუსით განსხვავებულ ავტონომიურ ერთეულში? აპირითი შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში ოსებს უფრო მეტი ეროვნული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ოლქში.

მაგრამ სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო სურათს გხვდავთ: ავტონომიურ ოლქში ყოველ ფარულზეც კი სამინივანი წარწერა (ოსურ-ქართულ-რუსული), ხოლო ასსრ-ში ოსურ წარწერას ქალაქებისა თუ რაიონული ცენტრების შესასვლელებშიაც ვერ იხილავთ. წარწერებს ვინდა დაეძვებს, როდესაც ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ში მკვიდრი მოსახლეობის გაქანებული რუსიფიკაცია მიმდინარეობს. თქვენვე განსაჯეთ: ასსრ-ს დედაქალაქშიც კი, ქ.ოჯონიკიძეში, არაა ურდუ დაწყებითი ოსური სკოლა! საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უკანასკნელ ხანს ქ.ოჯონიკიძის რამდენიმე საბავშვო ბაღში ოს ბავშვებს დაუწყეს კვირაში ორჯერ ოსური ენის სწავლება (ზუსტად ისე, როგორც მოსკოვის საუკუნელო ბაღებში - ინგლისურისა), რითაც ცდილობენ ოდნავ მაინც გამოასწორონ კატასტროფული მდგომარეობა - ისტორიული ოსეთის ოსური მოსახლეობის უმეტესობა ვერ ფლობს ოსურ ენას. ესეც თქვენი რუსული "ინტერნაციონალიზმის" ნაყოფი! როგორაა საქმე ჩვენთან? - არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, არამედ მის გარეთაც, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, ოსი ბავშვები სწავლობენ ოსურ სკოლებში; ოსურ ენას პრაქტიკულად ფლობს ყველა ოსი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს; ცხინვალში - ავტონომიური ოლქის დედაქალაქში - ფუნქციონირებს დრამატული თეატრის ოსური დასი, სამცხენიერო-კვლევი ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტი; არსებობს ოსური პრესა, რადიომაუწყებლობა... როცა ვლადიმერ პუტინმა (ჩვენ ყოველწლიურად შევუწყობთ ხელს მათს დადებითად გავაჭრის), მაგრამ განა შესაძლებელია შედარებაც კი ოსი ხალხის მდგომარეობისა ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში?!

## ზნეობრივი გმირობა

მ ივინის უფალო შემშობობა გამოაცხადა ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დამცველი ღივის თავმჯდომარემ ბ-ნმა ზურაბ მამალაძემ.

სანამ მის მოთხოვნებზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა ვთქვათ ღივისა და მის ხელმძღვანელებზე.

ღივა ჩამოყალიბდა ფერჯანის ტრაგიკული ამბების შემდეგ. ღივა საქველმოქმელო და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით მეთაურ მნიშვნელოვან მიზნებს ისახავს. კერძოდ, ღივის მიზანია მაჰმადიანი ქართველების დახმარება, ქართველობაშიწარსულ მამალიან მესხთა ცალკეული ოჯახების დაბრუნებისათვის ხელის შეწყობა, ხოლო გადასახლებულთა იმ ნაწილთან, რომლებიც წარმოშობით ქართველები არიან, მაგრამ ისტორიულ ბედუკულობათა გამო გათურქებულან, გარყვნილი მუშაობის ჩატარება მათში ქართული სულის და თვითშეგნების აღსადგენად. აქვე არ შეიძლება არ გავახსენოთ, რომ მამალიან მესხთა მიმართ სწორი პოზიციის შემუშავებაში დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის აწ განსვენებულ ლიდერებს - მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძეს.

დღეს, როდესაც კრემლის მიერ ინსპირირებულმა ანტიმესხურმა ფსიქოზმა მოიცვა ქართველ ერის ერთი ნაწილი, ალბათ ყველა დაგვიფიქრებთ იმაში, რომ მხოლოდ იმ მიზნის დასახვა, რაც ღივას აქვს, ძალზე წამებულიანია ხალხის მხარდაჭერის თვალსაზრისით და მართლაც ზნეობრივ გმირობას უდრის.

სხვათა შორის, მესხთა დაბრუნებისათვის წლები მანძილზე იბრძოდა ზოგიერთი ის პოლიტიკოსი, რომელიც დღეს ტოტალური დენიფორმაციის პირობებში პოლიტიკურ ქ-

ლებს იწერს ანტიმესხური გამოსვლებით და ცდილობს "თურქების" შემოსევისაგან ქართველ ერის გადამარჩენის რეპუტაცია შეიქმნას, რათა ძალადუფლებიდან დათოვნილი სწრაფვადი შემდღარი ხალხის მხარდაჭერა მოიპოვოს.

რამდენი შეურაცხყოფა და ცილისწამება არ იგებია ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის მიერ შეცდომაში შეყვანილი თანამემამულეებისაგან ბ-ნმა ზურაბ მამალაძემ, მაგრამ იგი გასათვარი, ღივის ღირებულებით შეუპოვრებით აგრძელებდა თავის ამ კეთილშობილურ, მაგრამ თითქმის უშედეგო მოღვაწეობას.

ბ-ნ ზურაბ მამალაძის მაღალი ზნეობის მაჩვენებელია ისიც, რომ შარშანდღე 9 აპრილს იგი კი არ გაეცეულა ხოცვა-ჟლეტის ადგილიდან, არამედ უშფოთ ქალების მისამხედველად ბოლომდე დარჩა მოვლენების შუაგულში, შემდეგ კი ცემისაგან ფილტვებზე ხედავილი მთელი თვე იწვა საავადმყოფოში (ზურაბ მანაგაძის სახელით).

ბ-ნ ზურაბ მამალაძეს მიაჩნია, რომ მისი აქციის მიზანია არა მარტო ამ მოთხოვნების შესრულება, არამედ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოკრატიის, ზნეობრიობის დამკვიდრება და ნეოთოლმეციური საფრთხის თავიდან აცილება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადად, არამედ მამალიან ქართველთა თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

და, აი, მან მ ივინის უფალო შემშობობა გამოაცხადა შემდეგი მოთხოვნებით:

"1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უახლოესმა სესიამ გამოიტანოს სპეციალური დადგენილება იმის თაობაზე, რომ 1944 წელს გადასახლებული მესხების საქართველოში დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა არის მხოლოდ საქართველოს იურიდიული პრე-

როგატივა.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნას ქართველ მაჰმადიანთა პრობლემების კომისია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქართველ მაჰმადიანების და ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დაცვის ღივა. ერთ-ერთი სექცია დაეთმოს მაჰმადიან მესხებს.

3. შეიქმნას მაჰმადიანი მესხების დახმარების ფონდი. ბანკში გაიხსნას ამ ფონდის ანგარიში და სათანალო მოწოდება გამოქვეყნდეს პრესაში საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

4. შეიქმნას კომისია, რომელიც გამოიმუშავებს ეროვნულ კონცეფციას ქართველ მაჰმადიანების მიმართ. ამ კონცეფციაში არსებითი ადგილი დაეთმოს მაჰმადიანი მესხების პრობლემას.

5. შეწყვეტოს 1989 წელს საქართველოში ჩამოსახლებული მაჰმადიანი მესხების - დეალიბებების დისკრიმინაცია და მათ ოჯახებს (ათი ოჯახი), რომელთაც საბუთებში შენარჩუნებული ჰქონდათ გვარიც და ეროვნებაც, მიეცეთ საკარმიდამო ნაკვეთები, როგორც სრულუფლებიან ქართველ მოქალაქეებს.

6. დაიგმოს ქართველი ხალხის დეზინფორმაცია მაჰმადიან მესხებთან დაკავშირებით. მოხსნას აკრძალვა მაჰმადიან მესხებზე ვიდუროსუფლებების და ინტერვიუების ჩაწერას, ხოლო არსებული მასალები გადაიყვანოს ტელევიზიითა და რადიოთი. მშობლების უნივერსიტეტის მიერ 1989 წელს გამოცემული და შემდგომ დაპატიმრებული წიგნი "მესხები და მესხები" განთავისუფლდეს პატიმრობიდან და აკრძალვის გარეშე თავისუფლად გაიყიდოს.

7. საქართველოში მცხოვრებ და სტუმრად მყოფ მაჰმადიან მესხებს მიეცეთ საქაშ-

ველის ტელევიზიით გამოსვლის საშუალება იმ მცვენიერებთან ერთად, რომლებიც კომპეტენტური არიან სამხრეთ საქართველოს ისტორიაში.

8. იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, ორგანიზაციებმა და პიროვნებებმა, ვინც კატეგორიულად უარყოფს მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლების დაწყების შესაძლებლობას საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებამდე, სრული პასუხისმგებლობა იკისროთ თავიანთი შეხედულებების კატეგორიულობისა და პისკან გამომდინარე შესაძლო შედეგების გამო და სათუთლო განცხადება გამოაქვეყნონ ამის შესახებ პრესაში.

9. ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დაცვის ღივა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პასუხისმგებლობა პარტიოში და ორამ წერილობდრედაც სატეგორიულობისა და პისკანთ თავიანთი დამოუკიდებულება ღივისა და მისი პროგრამის მიმართ.

საქართველოში ბოლო ორი წლის მანძილზე ბევრნაირი შემშობობის მოწმენი გაფხლეთ (მასობრივი, ინდივიდუალური, უფალო, ვალიანი, ჯაჭვიური, სიმბოლური და ა.შ.). ყველა ამ შემშობობას დიდი გამოხმაურება და აფიოტაჟი ახლდა თან. ბ-ნ ზურაბ მამალიანის შემშობობას კი, როგორც მოსალოდნელოც იყო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი უბრეყვედნენ, სამარისებური ლემილით შეხედნენ! მხოლოდ შემშობობის მე-18 დღეს გადაიცა ტელევიზიით ბ-ნ ზურაბ მამალიანის გამოსვლა...

ფიქრობთ, ბ-ნ ზურაბ მამალიანის ზნეობრივი გმირობა უშედეგოდ არ ჩაივლის და აღრე თუ გვიან მაჰმადიან მესხთა პრობლემას ქართველი ხალხი განიხილავს ფსიქოზის გარეშე, ბუღინჯად, ობიექტურად, სამართლიანად, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით..."

# საქართველოს არმხედ-განმათავისუფლებადი მოძრაობის საკორდინაციო ცენტრის განცხადება

ამჟამად ყვარლის რაიონში დაძაბული ვითარებაა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ლეკების სოფელ თიგვან დაყენებული პიკეტი. 16 ივნისს ყვარლის რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლები ლეკების სახლებს დასაგრეველად მიადგნენ. ქალებმა და ბავშვებმა მთა კვები დაუშინეს, რის საპასუხოდაც რამდენიმე ორსული ლეკის ქალი დააპატიმრეს (!). სწორედ ამის შემდეგ ახალსოფლის სახალხო ფრონტისა და პელსინკის ჯგუფის წარმომადგენლებმა შეძლეს ახალსოფელში წაწილის დაყოფა და სოფელ თიგვის მოსახლეობას ერთგვარი სასურსათო ბლოკადა მოუწყვეს. მხოლოდ რაიონის სახალხო მოზროვნე საზოგადოებრიობისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილების ჩარევით ვადა შესაძლებელი პურ მიწოდების განახლება.

უნდა აღინიშნოს, რომ აღვნიშნა სრულსავე. კერძოდ, დაღესტანში ბრუნდებოდა ცხვის გადსაყვანი მანქანა. კეტებით შეიარაღებულმა ხალხმა მას გაჩერება მოსთხოვა ლეკი მძღოლი შეშინდა და მანქანა არ გააჩერა, რის შემდეგ მას "ზაპროყვიცო" გამოუღნენ და ესროლეს. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

დაღესტანიდან 20 ივნისს მოვიდა ცნობა, რომ თუკი მდგომარეობა არ განიუმუხტება, დაღესტანელები აპირებენ ყიზლარის სამოვრებზე ქართველთა სახლების დაკავებას და, საერთოდ, სამოვრების ჩამორთმევას.

რა თქმა უნდა, ყვარლის რაიონიდან ლეკების მშვიდობიანი გასვლა კანონზომიერი პროცესია. ეს ასე ხდებოდა კიდევ. აქ მდებარე ოთხი სოფელიდან ორი - თხილსწყარო და სარუსო - უკვე დაიკადა. ლეკებმა მიიღეს ჭულადი კომპენსაცია და დაღესტანში დაბრუნდნენ ჩვენს მიზანთან შეთანხმებულად და არა მტრულად განწყობილი. (სხვათა შორის, ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა აწ განსვენებულმა მწერალმა ბენამა ილი ბეროშვილმა, ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორმა, რომელსაც როგორც ქართული, ისე ლეკი მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა). მდგომარეობის ამყარებელ გარეულებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თიგველ ლეკებს, მართალია, სურდა დაღესტანში დაბრუნება, მაგრამ გარკვეულ პირობებსაც აყენებენ, კერძოდ, მოთხოვენ დაღესტანში კომპაქტურად დასახლებას და სხვა.

მაგრამ განა ამ პრობლემების გადაჭრა მშვიდობიანად არ შეიძლება? ცხადია, ამისათვის მთიანი გარჯაა საჭირო, კერძოდ, დაღესტანში წასვლა და იქაურ ხელისუფლებასთან დინტელიგენციასთან მოლაპარაკება. სამაგიეროდ, დარჩენილი ლეკებიც მეგობრულად განწყობილი წავლენ და არა მტრულად.

რა უძღოდა წინ ზემოთხსენებულ მოვლენებს?  
ა.წ. 1 ივნისს ზვიად გამსახურდიამ მიტინგი ჩაატარა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში. ვინც ამ მიტინგზე მის მიერ წარმოქმნილი სიტყვა მოისმინა, ან გახ. "ივერის" 23-ე ნომერში წაიკითხა, ყველა დაგვიანხმდება, რომ ასეთი გამოსვლები საქართველოს ერთგულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც უდიდეს ზიანს აყენებს და ერთპირობის ურთიერთობებსაც. ამჯერად მხოლოდ მეორე საკითხს შევხებით.

ზვიად გამსახურდიამ ილაპარაკა ლეკების გასახლებაზე ყვარლის რაიონიდან. მან მტკადა მუქ ფერებში დახატა ყვარლის რაიონში ლეკების ურთიერთობა ქართველებთან. მოვიყვანთ ნაწილებს მისი გამოსვლიდან: "მთავარი მიზეზი ჩვენი აქ ჩამოსვლისა არის ის, რომ... აქ ლეკიანობა დაიწყო კახეთში, კახეთის შუაგულში... საგონებელში ვართ ჩავარდნილი, როგორ გადავარჩინოთ კახეთი. აქეთ თათრობა ეძალება, აქეთ სომხობა ეძალება, და სადაცა კახეთს გადავლაპარაკებ... ღვთის კატასტროფის წინაშე ვართ... შეიძლება ისინი (ლაპარაკია საკორდინაციო ცენტრში გაერთიანებულ ორგანიზაციებზე) მოვიდნენ აქ, მიტინგი მოაწყონ და თქვან: ლეკები ჩვენი ძმებია... კარგად ვიყოთ მათთან... ამასზე უპასუხებ სტვენით და გააძვედნენ აქედან..." და ა.შ. და ა.შ. იგი ამასთანავე დაემუქრა ყვარლის რაიონის ხელმძღვანელს, რომ თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყებდა ლეკების ძალად გასახლებას, მოუწყობდა აქციას და აუკვედა კარებს. ზვიად გამსახურდიას გამოსვლა ერთის მხრივ აღვივებდა მოსახლეობაში ანტილეკური ფსიქოზი გამთიწყია, მეორის მხრივ რაიონის ხელმძღვანელმა "დააშინა". ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება ლეკების სახლების დანგრევის შესახებ და შეუღდა მის განხორციელებას, რამაც ლეკვანდელი მდგომარეობის გამწვავება გამოიწვია.

რა არის ეს, თუ არა ეთნოკრიზისის ხელგონი გადვიგება ხელისუფლების წარმომადგენელთა და ზვიად გამსახურდიას მიერ?

ახალსოფელში მოპიკეტებმა დაძაბულობის განმუხტვის მიზნით ჩასულ პირებთან საუბარში განაცხადეს, რომ ისინი ასრულებენ ზვიად გამსახურდიას ჩითიებებს და სხვას არავის დაუჯერებენ; რომ ეს ახალსოფელშია საქმე, და ა.შ.

არა, ახალსოფელში! ეს არც რომელიმე პიროვნების თუ პარტიის საქმეა და არც რომელიმე სოფლის. ეს მთელი საქართველოს საქმეა, რადგან ასეთი დაუფიქრებელი და დანაშაულებრივი ქმედებები ერთმანეთს დაუპირისპირებს არა მხოლოდ ახალსოფელსა და თიგს, არამედ საქართველოსა და დაღესტანს. პოტენციურ მოკავშირეებს მტრებად ნუ მოვიკიდებთ!

რაცა ლეკებს მუშტებს ვუღებთ და ვემუქრებით, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მათი ჩამოსახლება სწორედ ქართველთა ლყლაპობისა და მექრთამეობის შედეგია, და პირველ რიგში სწორედ ისინი უნდა დაისაჯონ და არა ლეკები. განა ლეკები აქ ბრძოლით შემოიჭრნენ, ბრძოლითვე რომ გავრევთ? ჩვენი, ქართველების ლყლაპობა და დანაშაულებრივი ქმედებანი, რომელთა გამო აქ ლეკები ჩამოსახლდნენ, ჩვენვე, ქართველებმა უნდა ვხლო და კეთილი ვინებთ, ცოტა მეტადვე შევიწუხოთ თავი მშვიდობიანად მათი სამშობლოში დაბრუნების მიზნით. ყველაზე ადვილი, რა თქმა უნდა, ლეკების გარეკვაა, მაგრამ იმანაც ხომ უნდა ვიფიქროთ, რამდენად სწორია ასეთი მოქმედება და რანაირი დამოკიდებულება გვექნება ამის შემდეგ ჩვენს მეზობელ დაღესტანთან, ჩვენს მონათესავე ხალხთან, რომელთანაც ბევრ ქართველს უაღრესად მეგობრული და კეთილმეტობილი დამოკიდებულება, ყოწალობა, აკავშირებს. თვით დაღესტანში კი ქართველებს უაღრესად დიდ პატივს სცემენ.

ყვარლის რაიონში ხელგონურად შექმნილი დაძაბულობა მთა უფრო საგანგაშოა, რომ იგი წინ უძღვის კავკასიელი ხალხების შეხვედრას, რომელიც 26 ივნისს იწყება თბილისში და შეკავშირების საწინდარი უნდა გახდეს. ასეთი ერთიანობა ყველაზე მეტად აშინებს კრემლს და, ცხადია, ამის გამო ზემოთხსენებული ეთნოკრიზისიც სწორედ მას აძლევს ხელს.

დასასრულად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეთნოკრიზისის ასეთი გამწვავება ზვიად გამსახურდიას ჩარევის შემდეგ ადრევე ბევრჯერ მოხდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც, შეიძლება გამოვიტანოთ ორი შესაძლო დასკვნა: თუ ამას ზვიად გამსახურდიამ შეგნებულად აკეთებს, მაშინ მისი ასეთი ქმედებანი უნდა შეგასდეს, როგორც პროვოკატობა; ხოლო თუ შეუგნებლად აკეთებს, მაშინ საქართველოს ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან ასეთი ვაიპოლიტიკოსი განხე უღდა გადგეს და ეს ხმამაღლა უნდა ითქვას მთელი ქართველი ერის წინაშე. კავკასიელი ხალხების ერთობის საწინააღმდეგო ქმედება ყოველ შემთხვევაში დადამაშალებელია.

საკორდინაციო ცენტრი ყვარლის რაიონში მომხდარ მოვლენებს აფასებს, როგორც ლეკებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის ხელგონურად გამწვავების და ქართველი ერისათვის სახელის გატევის მცდელობას. იგი კატეგორიულად მოითხოვს პიკეტის დაუყოვნებლივ მოხსნას და მსგავსი მოქმედებების შეწყვეტას.

პასუხისმგებლობა მძიმე შედეგებისათვის უნდა დაეკისროს ხელისუფლებას და ყველა იმ პირს, რომლებიც თავიანთი მოქმედებებით ამწვავებენ ურთიერთობას იმპერიის მიერ დამონებულ ერთა წარმომადგენლებს შორის, და არა ქართველ ერს ან საქართველოს ერთგულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

1990 წლის 22 ივნისი.

**რ ე დ ა ქ ე ც ი ა ს მ ი ნ ა წ ე რ ი :**  
გახებთ "ახალზარდა ივერიელი" საკორდინაციო ცენტრის ეს განცხადება არ გამოაკვეყნა, ვითომდაც იმ მიზეზით, რომ თითქოს მოტანილი რეალური ფაქტები კიდევ უფრო გააღრმავებდა ლეკებსა და ქართველებს შორის კონფლიქტს.

ცია. ეთნოკრიზისის აღსაკვეთად მთა უფრო სასარგებლოა ეთნოკრიზისების გამღვივებელია მხილება.

მიზეზი, როგორც ჩანს, სულ სხვაა. თუ "ახალზარდა ივერიელი" გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ გაზეთი აშკარა მიკერძოებას იჩენს და ობიექტურობას ნამდვილად ვერ დაიჩემებს.

საბედნიეროდ, ადრე თუ გვიან ყოველივე ამას კარგად დაინახავს პირუფენელი მკითხველი და მიესტორი.

## ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილების განცხადება

ინციდენტი, რომელიც მოხდა სოფელ თიგვი ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციის, შინაგან საქმეთა რაიონგანყოფილების მუშაკებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების მისვლისას სოფელში აშენებული უკანონო სახლების დანგრევის მიზნით, დრმად დაფიქრებასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას საჭიროებს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თვლის, რომ რაიონის ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ვერ გამოავლინა რეალურად აზროვნების, მოვლენების განვრცობის და აქედან გამომდინარე შეცდომების დაშვების გავარაუდების უნარი, ან არადა იგი ნებთ თუ უნებლიედ თავისი მოქმედება-უმოქმედობით ეთნოკრიზისის კერის ნაღვერდალზე უშვებს პერის ნაკადს. დიდი ამოჯანა არ იყო ლეკთა ბინების დანგრევიდან გამომდინარე მწვავე, მძიმე შედეგების განსაზღვრა.

ავარდელთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება მიმდინარეობდა წყნარი, მშვიდობიანი გზით და ურთიერთობანიც ლეკ და ქართველ მოსახლეობას შორის (ცალკეული გამონაკლისები გარდა, რაც დასაშვებია, სამწუხაროდ, და რაც ყოველდღიური ცხოვრების უარყოფით მოვლენას წარმოადგენს ნებისმიერ ერში და ქვეყანაში) იყო ნორმალური. გასული წლის მაისიდან ამა წლის 1 ივნისამდე სამშობლოში დაბრუნდა ყვარლის რაიონში მცხოვრებ ავარიელი მესამედზე მეტი. სწორედ ამ პროცესის დაჩქარების მიზნით გადაწყდა ზემოთხსენებულ უკანონო სახლების დანგრევა, პროცესისა, რომელიც ნელი, მშვიდი, ორივე მხარისათვის მისაღები ფორმით მიდროდა. თუცა, თუ კანონზე მიდგება საქმე, იგი უპირველესად თიგვი მცხოვრები ურთივენი ქორვაჭრის წინააღმდეგ უნდა ამოქმედებულიყო.

მდგომარეობა გამწვავდა და დაიძაბა ცნობილი 1 ივნისის მიტინგის შემდეგ, რომელიც მრგვალ მაგიდაში შემაჯავლა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გამართეს სოფელ ახალსოფელში. მიტინგზე მივიდა რაიონის ფაქტობრივ ხელისუფლებას და მივიდა კონკრეტული ვადა უკანონო სახლების დასანგრეველ და, საერთოდ, სოფელ თიგვის გასახლებადა.

ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ მოცემულ ექსტრემალურ სიტუაციაში ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი, მთხდა შეტაკება ერთის მხრივ სამართალდამცავ ორგანოსა და მეორე მხრივ ავარიელი ქალებსა და ბავშვებს შორის, რომლებმაც ქვის სეტყვა დაუშინეს კანონის დამცველ, რის შედეგადაც დაშავდა მილიციის მთა

ნამშრომელი, ახალსოფლის სოფსაბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე. აღსანიშნავია, რომ რაიონის მილიციამ გამოიჩინა გონიერება და პაერში რამდენიმე გასროლის გარდა არავერი მოუშოქმედებია. ჩვენდა საბედნიეროდ, შემთხვევამ უმსხვერპლად ჩაიარა!

ახალსოფლის მოსახლეობამ ამ ამბავს უპასუხებ იმით, რომ ჩაკეტა სოფელ თიგვი-ვალა გზები.  
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება გამოხს სოფელ თიგვის პიკეტების ფაქტს, ავარიელი მოსახლეობისადმი პურისა და სურსათის მიწოდების შეწყვეტის მცდელობას, რაც არსობრივად წარმოადგენს 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის უხეშ დარღვევასა და ფებქვეშ გათვალს.

ეს პოზიცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გააწვო კიდევაც პიკეტის მონაწილეებსა და მის ორგანიზატორებს და მოუწოდა მათ, მოეხსნათ პიკეტი, მაგრამ აქციის მესვეურებმა და მონაწილეებმა მოულოდნელად უწრად არ იღეს. პიკეტი გრძელდება. რა თქმა უნდა, ლეკები უნდა დაბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ამასზე ორი აზრი არ არსებობს. ეს პირველ რიგში თვიდ მათვე სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაიწყებენ გადაგვარებას, დაკარგვებენ ენას, აღად-წყებენ, კულტურას, სარწმუნოებას, თვითმყოფალობას. ღვთის დაღესტანსაც ისეთივე გასაპირი აღვას თავს, როგორც საქართველოს, უფრო მეტიც, დაღესტანში მიმდინარეობს ძლიერი, რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომელსაც დაღესტანელებისათვის საბედისწერო შედეგი მოყვება, როგორც ეს აზიაში, ყაზახეთში მოხდა.

ღვთის დაღესტანელებმა მთელი ღუნიდან უნდა იწყონ დინება სამშობლოს დასაცავად. მხარი მხარს მისცენ ურთიერთს, დაირაზმონ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა არ გაითქვინოს, არ გაქრეს მათი ერი. სხვა გზა მათ არ გააჩნიათ. აი, ამ გაგებით უნდა მივუღებთ ლეკთა საკითხს, დავებმართო მათ კრისტალური აზრის განხორციელებაში, ხელი შევეწყუთ, დავებმართო სამშობლოში დაბრუნებაში, და თუ რომელიმე მათგანამდე არ მისულა ასეთი შეგნება, დაე ჯერ წავიდნენ ისინი, ვინც უკვე შეიგნო, რომ ის მის სამშობლოს სჭირდება უპირველესად. ამასობაში კი აზრის ნათელი სტვებასაც მოვიგნებთ. ამას ჩვენ ვაცხადებთ ადამიანური, ქრისტიანული პოზიციებიდან გამომდინარე, ერთა ურ-

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილების განცხადება (დასასრული)

თიერების საკითხი საქართველოში იარაღის გზით არასდროს არ მოგვარებულა და არ გადაწყვეტილა. ზორობა ბოროტებით არღეს დაიბრუნება. ნუ გვახრჩობენ მესამე, საბანისეული ძალის არსებობაც. ლეკებთან ურთიერთობისა და მათი სამშობლოში გამგზავრების საკითხის მოგვარება ამგვარი რადიკალური გზით, რომელსაც ჩვენი ქართველი მშენებნი მიზანდასრულდნენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს გზა ჩვენ ჩიხში შეგვიყვანს და საქართველო-დასუსტების მომავალ ურთიერთობებზე იმოქმედებს. "პაპის ნაჭამმა ტყემალმა შევიღვივოს მისჭრა კბილი" - ამ ბრძნულ ნათქვამს კარგი გაგება და გააზრება სჭირდება.

"საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ დაღესტნელები ღვთისმშობლის კუთვლი მებრძოლები არიან და ლეკებთან ურთიერთობაზე გასული საუკუნის მიხედვით მსჯელობს. არადა ლეკები - ღვთისმშობლის მებრძოლები არიან და მათი სოფელი ერთმანეთს ეცილება სასურველი სტუმრის მიღება-გამასპინძლებად. დაღესტნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ლეკები საქართველოს ხელდავეს იმედოვნებს და მოყვარულად და ამ შექმნილ ვითარებაში ვის ამღებს ხელს ქართველებისა და ლეკების ურთიერთ წაყილება? ეს რა უბედურება გვჭირს: თითქოსდა მტერი გვაღვლეოს, ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ ჩვენი მიმიმე მღვთმარობა კიდევ უფრო დაამძიმონ და ახალ-ახალი დაძაბულობის კერები შექმნან..." (ხ. ჭავჭავაძე, გაზ. "ივერია", № 12, 1939 წლის 12 აგვისტო).

ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე სოფელ თვის პიკეტირებას გამართლებულად მიიჩნევს. ჩვენ მივმართავთ მათ: უმიმისი გამოცდის წინაშე ღვთისმშობლის კუთვლი იმპერია ჭორების, ღვთისმშობლის გაგვრელებით, აგრეთვე სხვა მხაკვერულ, მუხანათური ხერხების გამოყენებით მუღმივად ცდილობს მღვთმარობის ღვთისმშობლისა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. სწორედ ღვთისმშობლის, როგორც არასდროს, გვმართებს განსაკუთრებული სიბრძნე და აუღვლეობა. ამჟამინდელ მიმიმე სიტუაციაში ქართველ კაცს შევლი-მის დაშვების უფლება არა აქვს.

თბილისში 26-29 ივნისს საქართველოს მწვეანთა მოძრაობის თათსნობით გაიმართება შეხვედრა-სემინარი: "კავკასია - ჩვენი საერთო სახლი". იღვებება პირველი ნაბიჯი კავკასიის სივრცის შესაქმნელად, რომელიც საქართველოსთან ერთად დაღესტანიც შევა. ეს იქნება ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა. კავკასიის ხალხთა გაერთიანება, ერთ მუშტად შევკრა ის იარაღია, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია კრემლს. იგი ყველა ხერხით შეეცდება, არ დაუშვას კავკასიელი ხალხთა ერთობა.

ისევ და ისევ ვიმეორებთ - ჩვენ მზარს ვუვრთ თავიანთ სამშობლოში ღვთისმშობლის-პიანი, ნებაცყოფლობით დაბრუნების პროცესს, რაც ჩვენი ორი ხალხის შემდგომი კეთილშეზობლური და კეთილგანწყობილი თანაცხოვრების გარანტია იქნება. ღრმად გვწამს, რომ ეს პრობლემა სწორედ ამ გზით უნდა გადაწყდეს.

ამიტომ დავფიქრებთ კიდევ ერთხელ - ხომ არ ვასხამთ წყალს მტრის წისქვილზე? დიერით იყოს ჩვენი მფარველი!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის განყოფილება  
1990 წლის 20 ივნისი

რეპლიკა

26 ივნისს საქართველოს ტელევიზიის პროგრამა "კვირიაკეში" მეტად საინტერესო გამოცდის მომწმენი გავხდით. მასში "მრგვალი მაგილის" სპიკერებმა ყოველგვარი მიკვირ-მოკვირების გარეშე განაცხადეს, რომ 18 ივნისს მოწვეული უზენაეს საბჭოს სესიაზე მთელი რიგი საკითხები იმდებარად უნდა გადაწყდეს, როგორც ეს "მრგვალი მაგილის კონცეფციის" ავტორებს აქვს წარმოდგენილი. სხვათაშორის, ფაქტიურად იგივე განაცხადეს მათ "ახალგაზრდა ივერიელში" (19.06.90) გამოქვეყნებულ "ორ განცხადებაში", სადაც არააზროვნად შენიშნავენ რომ: "ეროვნული მოძრაობისთვის არ უნდა აარიდოს პასუხისმგებლობას, რადგან მიგვარნია, რომ გარდა-მავალი პერიოდის მანძილზე სწორედ ეროვნული ძალებმა უნდა მოამზადონ პირობები ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად." დაახ. "მრგვალი მაგილის" თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები თავდაუზოგავად მიიღვივნენ ხელისუფლებისაკენ. როგორც სჩანს, სწორია გამოწვევები იმის თაობაზე, რომ არააზრობაა ღვთისმშობლის, ნარკოტიკული და სექსუალური კი ხელისუფლებისაკენ ღვთისმშობლის შედარებითა და ამის შემდეგ "მრგვალი მაგილის" ღვთისმშობლის სხვა სდებენ ბრალს ამ სფეროში. ძალზე საინტერესოა მათი მიმოკრული მეთოდებიც საბჭოთა მატრუქტურებში შედგრომა-თანამშრომლობისა და ამისთან ყველას ნაცარს

აყრის თვალში - არანაირი მკრეხელობა სახელმწიფო საბჭოთა ორგანოებთან თანამშრომლობა არ არის. ერთი ქართული ან-დაზისა არ იყოს - "დათვის ბული პანტის ფასიაო!"

ზემოაღნიშნული ტელედაცემის დროს "მრგვალი მაგილის" წარმომადგენლებმა ისიც კი განაცხადეს რომ სამთავრობო კომისიებში, რომელიც მოკალათებასაც ისინი აპირებენ (ვიღვე ხელისუფლებას იგებენ ხელმ, რეღ.) უნდა დამოუკიდებლად მრავალპარტიული არჩევნების ნიუანსებში და უფრო მეტიც-მასში მონაწილე პარტიათა რეგისტრაციასაც უნდა მიხედონ. რა კვლითიკაცია შეიძლება მისცეს კაცმა ყოველივე ამას? ალბათ ერთადერთი - ცენტრი არქარებს საქართველოს ფაქტიურ ხელისუფალ და მის ხელის შეწყობებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩააღვდეს ჩვენი რესპუბლიკა მოსკოვის მიერ შემოთავაზებულ მოდელში და რაც მთავარია, როგორც კონგრესის არჩევნების უნდა ჩაიშალს. და აქვე გვახსენდება ამასწინავე ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა "ნაშუალამებს"-ში სუკის გენერალ-მაიორის რ. კალგინის გამოსვლა, რომელიც მან განაცხადა, რომ უშიშროების კომიტეტი ურ კიდევ ღვთისმშობლის ფანტასტიკურ შესაძლებლობებს ფლობს. ალბათ აქ კომენტარი ზედმეტია.

კირილე კალაშნიკი

უკან და ვიუღი დრო (დასასრული)


უძველესი აქციას. შიმშილობის საორგანიზაციო კომიტეტმა 2 ივნისს "ახალგაზრდა ივერიელში" განაცხადა: "უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა უფალი, ანაპრომანენტილი შიმშილობა, უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მოახლოვნილ (ხაზი) ჩვენია, - მოშიშნობაშია მომდევნო ხანებში მოხსნეს ეს მოახლოვნი, რღ.) მოშიშნობითა მზარდამტერი ჯგუფი მოგმართავთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, საქართველოს ყველა მცხოვრებს, რომ მზარი დაუპირობ სტუდენტთა მიერ წამოწყებულ აქციას... "აქ კი ვეღარ მოითმინა "მრგვალი მაგილი" და ახალგაზრდობის სასიკვდილო შიმშილობა თავის სასარგებლოდ დაამრგვადა. მათ ხომ იმჟამად უკვე მხილებული კონცეფციის განხორციელების შანსი გაუჩნდათ. ამიტომ სასწრაფოდ შეჰყარეს თავისი მოშიშნობის მთავრობის სახალის წინ გაშლილ კარავში და თან საკოორდინაციო ცენტრის "უგალობაზე" გაპიროდნენ.

სამწუხაროდ, ასეთივე ნაჩქარევი, წინდაუხედავი მოქმედებით გადაწყვიტა აშენება სახალხო ფორტმაც. მათ კინოს სახლის წინ, პაპანაქება სიყხეში წამოაწვინეს თავისი მოშიშნობილები და 5 ივნისის "ახალგაზრდა ივერიელში" საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დადგინებლად გაამანაშაღეს. ოფიციალურ პრესაში კი უკვე უხედა ჩნდებოდა მშრომელთა კოლექტივების თუ საწარმო-დაწესებულებათა წერილები და განცხადებები/სათაური: "მზარი დაგვიპიროთ აქციას!" - ასე ცდილობდნენ შიმშილობის ტალის აზვირთებას, ჩაღვებოდა ნამდვილი შეჯიბრი...

საკოორდინაციო ცენტრი ამ დროს ყველას აცნობდა: რომ ყოველივე რაც ხდება, მოსკოვის მიერ შემოთავაზებული სუენარით დაღვებული სპეტიკაცია: რომ წესიერი ქართველები ტყუილად არიან მასში ჩართულნი და რასაც ვითხოვთ იმას სესია უშიშნობილად დაადასტურებს; რომ მრგვალი აქციებით მხოლოდ ყალბი ზეწოლის იმიტირება ხდება, რათა სესიის გადაწყვეტილების შემდეგ

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის "ახალი გამარჯვების" ილუზია შეიქმნას; რომ თავისუფლების ყალბი დეკლარირება მხოლოდ ხელისუფალ და მასთან აღიანსში მყოფთ ძალებს უმართავს ხელს, რაც სინამდვილეში სასიკეთოდ არაფერს არ შეცვლის, პირიქით მას უამრავი გარუღებები მოჰყვება და ა.შ. მოკლედ, ყველაფერი ისე კარგად აგობდეს ჩვენო მკობხველო, როგორც გაზ. "თბილისში" 9 ივნისს საკოორდინაციო ცენტრის განცხადებაში მოტანილი ფაქტები ახდა. "საბედნიეროდ ქართველობის შეგნებული ნაწილი არ აპყვა აღნიშნულ პოლიტიკურ ავანტურას და ამ მიზეზით საბოლოო ჯამში აქციამ ღილი გაქანება ვერ პაპოვა. ვნებები თანდათან ცხრებოდა... "უნივერსიტეტს ხელისუფლების წარმომადგენლები ესტუმრნენ, სადაც მოლაპარაკება გაიმართა რიჯარეშე სესიის მოწვევის ვადების თაობაზე. ხელისუფალი შესაძლო ვადაღ 15 ივნისს ასახებდნენ, ახალგაზრდობის შიმშილობით შეწუხებული საზოგადოებრიობა უახლოეს დროში ითხოვდა სესიის მოწვევას. ბოლოს გამოიკვეთა 20 ივნისი. ეს დრო ყველას აძლევდა ხელს და რაც მთავარია მოსკოვთანაც არ მოლოდა წინააღმდეგობაში, სადაც განახლებული ფედერაციის ნაცვლად უკვე "სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიან კავშირზე" და ახალ სამოყავშირე ხელშეკრულებაზე საუბრობდნენ. ასეთი კავშირის იურიდიული გაფორმებისათვის აუცილებელია, რომ ყველა მოყავშირე კოლონია ფორმალურად სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდეს, რაც რეალურად არაფერს არ შეცვლის - აი, მთელი საილუმო ამ აქციისა, ღვთისმშობლის უზბეკეთი და სხვა უმრავი რესპუბლიკები, მათ შორის რუსეთი, ცენტრის ნებართვით უკვე "სუვერენულები" ხდებიან, ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი ეჭვს აღარ უნდა ბადებდეს.

ჩვენში შიმშილობები უზენაესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის გამოქვეყნებისთანავე შეწყდა. როგორც ჩანს, მართლაც ძნელია ამ დამწუღ ქვეყანაში შიმშილით პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება. განა საბჭოთა ხელისუფლება მუღამ შიმშილითა



ჩვენს ზოგიერთ მკობხველს არ მოეწონა ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში გამოქვეყნებული კარკატურები. ვიფიქრებთ მათ შენიშვნას და კარკატურის ნაცვლად ვაქვეყნებთ ფოტოს.

და შიშით არ მართავდა ქვეყანას? შიმშილობა კი შეწყდა, მაგრამ 20 ივნისამდე მთავრობის სახლის წინ გამართული კარავი არ აუღიანა. "მრგვალი მაგილი" იმდეს არ კარგავდა. ის კი არა, დროს ამ მონაკვეთში მათ თბილისში სხვადასხვა საკითხებზე ერთ-ორი მოშიშნობილ "ალმაჩინეს" და კარავში შეღაღეს, რომ აღარაფერი ვაქვეა "ღვიკანობის" იმიტირებაზე ყვარლებში, რაც ასევე ახალი ფსიქოზისათვის უნდა გამომღვარყოს.

20 ივნისის სესიამ მთელი რიგი გადაწყვე-

ტილები მიიღო, მათ შორის დროის ერთი საათით უკან გადაწვივაც გადაწყდა. ამივე დღეს მთავრობის სასახლის წინ გაიმართა მიტინგი, რომელმაც ბევრი რამ გამოკვეთა და იმაზეც საფუძვლიანად ჩავაგვიქრა, თუ რამდენით გადასწია დრო უკან ზოგიერთების-გაუტანლობაში, შეუწყნარებლობაში, ცილისწამებაში, პატივმოყვარეობაში და შურმა. მაშასადამე, იმ კლავიატურამ, რომელიც ჩვენი მტრები წარმატებით ასრულებენ ჩვენთვის მიუღებელ პოლიტიკურ მიღებებს!

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბუანდამე, გუმა ავაქიძე, ოსებ ბანდელაძე, კახაბერ კახაძე, თამარ ჩხეიძე, ნიკო ჭავჭავაძე.  
საზოგადოების მისამართი: ლენაჩარსკის 2, III სართ. ტ: 93-39-32